# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 18 ოქტომბერი 2007 №241 (3164)

ფასი 50 თეთრი

# GEORGIEN ÜBER ALLES!

## გმადლობთ!

### შემთხვევა, როცა საქართველო ამას ალალად იმსახურებს





AFP



საქართველოს ნაკრების თამაშებს
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

თბილისი. 17 ოქტომბერი. 21 საათი. ეროვნული. 44 000 მაყურებელი (ტევადობა 56 500)

# საქართველო 2:0 შოტლანდია



მჭედლიძე 1:0!

1:0 მჭედლიძე (16), 2:0 სირაძე (65)

| საქართველო | შოტლანდია |
|---|---|
| საქართველო: მაკარიძე, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, შაშიაშვილი, კვირკველია, კანკავა, მენთეშაშვილი, ყენია (კანდელაკი 80), მჭედლიძე (ა. კვახაძე 85), სირაძე (ჯაკობია 90) სათადარიგონი: სტურუა; ტატანაშვილი, ბოლქვაძე, დოლიძე | შოტლანდია: გორდონი, მარტი, გრემი, მაკმანუსი, ვეირი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი, პირსონი (ბოიდი 66), მილერი (ბიტი 66), მელოუნი, მაკფადენი სათადარიგონი: მარშალი; მაკიველი, დეილი, რობსონი, ტილი |
| მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი | მწვრთნელი: ალექს მაკლიში |

გაფრთხილება: მაკმანუსი (61), კანკავა (61), ბიტი (72), ასათიანი (90)

მსაჯები: კ. კირხერი; ი. ზალვერი, ტ. შიფნერი; პ. ზიპელი (ყველა გერმანია)

დამკვირვებელი: გ. გუტალსი (ბელგია); დელეგატი: გ. პრალონგი (შვეიცარია)



სირაძე 2:0!

# საქართველოს სა-ქარ-თვე-ლო!

ილია ნანობაშვილი

ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველი გულშემატკივრისთვის ეროვნული სტადიონი სტადიონზე მეტია, ესაა წმინდა ადგილი და რა დიდებული გრძნობაა, ამ ადგილიდან ნასიამოვნები, ტკბილი ემოციებით სავსე რომ გამოდიხარ. როგორ გაიშვიათდა ბოლო წლებში ეს სიხარული, მაგრამ გუშინ სწორედ ის იშვიათი დღე იყო, როცა სევდა ერთ წამში ქრება და აღარ ფიქრობ იმ აურაცხელ გაშვებულ გოლებზე, უბრალოდ, ვერ იფიქრებ. არის ასეთი მატჩები და ასეთი იყო გუშინ...

ქართველი ქომაგი იმსახურებს ასეთ სიხარულს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამდენი წაგებების მიუხედავად, საყვარელი გუნდისთვის სატურნიროდ უმოტივაციო მატჩზე თითქმის ბოლომდე ავსებს სტადიონს.

და მადლობა საქართველოს ნაკრებს, რომ ხალხს საჩუქარი მიუძღვნა!

კლაუს ტოპმიოლერის ხელში კი არა, მგონი, დამოუკიდებლობის ისტორიაში არ უთამაშია ჩვენს ნაკრებს ასე გამართულად. ყველა ფეხბურთელმა მისხალ-მისხალ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. ოფლში გაიწურნენ, ვეება კლასის არა, მაგრამ ვეება ჟინის მქონე ნაკრებს ბდღვირი ადინეს — შოტლანდიურადაც აჯობეს და „ქართულადაც", ანუ ჯან-სისწრაფეშიც მოერივნენ და ბურთის გაგორებაშიც...

ან გაგიგიათ სადმე, სკოლის ასაკის სამი ფეხბურთელი გყავდეს და ჯგუფის ლიდერს გადაურბინო?

„გრაციე, ჯორჯია! ჩვენი „ემპოლის" თავდამსხმელმა ლევან მჭედლიძემ შოტლანდიას გოლი გაუტანა, რითაც იტალიას დიდი სამსახური გაუწია" — დაწერა გუშინ საღამოს „გაძეტა დელო სპორტმა". არადა, ოთხი დღის წინ იტალიასთან თამაშისას აპენინური პრესა გაკვირვებით კითხულობდა, ვინაა ეს ემპოლელი მჭედლიძეო. ახლა უკვე მათი ემპოლელი ყოფილა...

და რა ლამაზი გოლი! მე-16 წუთი იყო, 17 წლის ჭაბუკმა ნაკურთხურალ ბურთზე ორ შოტლანდიელს შორის გაჰყო თავი და სქოთთა მეკარე კრეიგ გორდონს ნახტომმა ველარ უშველა — 1:0!

მარტო გოლი? როგორ მუშაობდნენ ის და ლევან ყენია მოედნის ცენტრშიც, არადა, როგორია, ასეთი პატარა ბიჭებისგან რაციონალურ და დინჯ თამაშს რომ ხედავ, როცა ხედავ, რომ დაბრძენებულებივით არიან.

სადაც მჭედლიძე-ყენია ვახსენეთ, მათ კბილა მეკარე გიორგი მაკარიძეზე როგორ არ ვიტყვით: ბიჭს პირველად 75-ე წუთზე დაურტყეს ჩარჩოში და სულ ორჯერ მოიგერია ბურთი, მაგრამ როგორ მშვიდად, აუღელვებლად იდგა, როგორ არ აფორიაქებულა...

–კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი სამი გამოკვეთილი შემტევით ათამაშა, რომელთაგან ყველაზე წინ დავით სირაძე იყო, სიღრმიდან კი მჭედლიძე-ყენიას დუეტი დააყენა. ფლანგებზე დავით კვირკველია და ზურაბ მენთეშაშვილი იდგნენ, საყრდენ ნახევარმცველად კი ჯაბა კანკავა, რომელიც უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ჯარასავით ტრიალებდა და დაკუნთულ სქოთებს არაფერი დაუთმო.

სტუმართაგან ბევრჯერ ნაქები ჯეიმს მაკფადენი და კენი მილერი აქტიურობდნენ, ხან სისწრაფეში ცდილობდნენ ჩვენების დაჯაბვნას, ხანაც აბრაგანებს მიმართავდნენ, მაგრამ მალხაზ ასათიანი ჩვეული „მაზო" იყო და ზურაბ ხიზანიშვილსაც სულ არ ეტყობოდა, რომ „რეინჯერსში" სკამზე ზის.

სადღაც ტაიმის შუაში კი იყო მომენტი, რაზეც ნამატჩევს სქოთთა თავკაცმა ალექს მაკლიშმაც დაიჩივლა. მაკფადენს ხიზანიშვილმა საჯარიმოში მხარი ჩაუდგა, მსაჯმა კი, მაკლიშის აზრით, სუფთა პენალტი არ დადო. და თუ წესების დარღვევა იყო, ისიც ვთქვათ, რომ მაკფადენამდე ეს ბურთი არ უნდა მისულიყო — მანამდე გვერდით მსაჯს ქართველების სასარგებლოდ აუტი უნდა დაენიშნა.

აქედან ორ წუთში ჯეკ მაკმანუსის თავური ასცდა კარს, ხოლო მჭედლიძემ შორიდან დაურტყა გორდონს, რომელმაც ძლივს მოიგერია ბურთი.

მატჩის საკვანძო წუთები კი, ალბათ, ტაიმის ბოლოს იყო, როცა შოტლანდიელები ჯიუტად აწვდიდნენ და აწვდიდნენ საჯარიმოში, ხიზანიშვილმა და გიორგი შაშიაშვილმა კი თავზე არ გააკარებინეს ბურთი ფორვარდებს.

პრესინგი მეტოქის ნახევარზე — ეს არასოდეს ყოფილა ქართველთა იარაღი, მაგრამ გუშინ ხერხმა იმუშავა, რამაც შოტლანდიელებს ხშირი შეცდომები აიძულა. თევზებივით დასხლტებოდნენ ხოლმე ყენია და მჭედლიძე, რაზეც სტუმართა დაცვა იბნეოდა, დევიდ ვეირი (რომელიც ორი ლევანის ასაკი რომ შეაჯამო, იმაზე დიდი ხნისაა) გაწამებული დარბოდა და წამდაუწუმ უყვიროდა თანაგუნდელებს.

რაც დრო გადიოდა, შოტლანდიელთა კილტიანი ფანები უფრო დუმდებოდნენ, მაკლიშის შეგირდები კი ნერვიულობდნენ და უხეშობაზეც გადადიოდნენ. რა საგოლე მომენტი, მაკარიძის კარს მხოლოდ შორიდან უყურებდნენ, ამ დროს კი კვირკველიას სამწუთეული დადგა: მისი ჯარიმიდან დარტყმული გორდონმა შესაშური ნახტომით გადააგდო კუთხურზე, შეტევას შეტევა მოჰყვა და დავითმა მარცხნიდან მწვავედ გაასრიალა ბურთი, რასაც სირაძის ახლოდან გატანილი მოჰყვა — შოტლანდია კატასტროფის წინაშეა!

ტოპმიოლერს ველოსიპედის გამოგონება აღარ დაუწყია, შემტევები ჩამშლელებით შეცვალა და წყნარად შეინარჩუნა 2:0.

ტაშის გუგუნში გავიდნენ მინდვრიდან ყენია და მჭედლიძე — ტოპმიოლერმა ისინი გულიანად ჩაკოცნა, ყენია ხელშიც კი აიტაცა...

თამაშის დასრულების შემდეგ კი გულშემატკივრები აღტყინებულნი და გაკვირვებულნი იყვნენ: საქართველომ მოიგო!

მართლაც კარგი იყო, გვიმრავლოს ღმერთმა...



## პრესკონფერენცია

**ალექს მაკლიში:** ჩემმა გუნდმა ვერ აჩვენა ის თამაში, რასაც მთელ შესარჩევ ციკლში აჩვენებდა. ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავდა და, სამწუხაროდ, მათი შეცვლა ვერ მოხერხდა...

–ქართველების ასეთი თამაში დიდად მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის. ვიცოდი, რომ კარგ გუნდთან გვექნებოდა საქმე რომელსაც ძალიან ძლიერი ახალგაზრდები ჰყავს. თქვენი ნაკრებიდან რომელიმე ერთი მოთამაშის გამორჩევა გამიჭირდება, ყველა კარგად გაისარჯა. თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეტყობოდათ, რომ უდიდესი მოტივაცია ჰქონდათ გულშემატკივართა მხრიდან...

–ზურაბ ხიზანიშვილს „რეინჯერსში" ვწვრთნიდი. მან დღეს ძალიან კარგად ითამაშა, თითქმის უშეცდომო იყო.

**კლაუს ტოპმიოლერი:** მთელ საქართველოს ვუძღვნი ამ გამარჯვებას. ჩვენ დავიმსახურეთ დღევანდელი ზეიმი.

...მატჩისწინა პრესკონფერენციაზე რომ ვთქვი, მაკარიძეს ვაყენებ-მეთქი კარში და ბევრი გაკვირვებული სახე დავინახე, თავადაც ნახეთ, როგორ მშვიდად ითამაშა. შოტლანდიელ ფორვარდებს გიორგი დიდად არ დაუტვირთავთ, მაგრამ ეს მეკარის დამსახურებაცაა — როცა ხედავ, მეტოქის მეკარე არ ნერვიულობს, თამამ გადაწყვეტილებებზე ხშირად ვერ წახვალ...

–ვამბობდი, საქართველოს სამი დიდი ტალანტი ჰყავს მაკარიძის, ყენიასა და მჭედლიძის სახით-მეთქი. ასევე გამოვარჩევდი ხიზანიშვილ-ასათიანისა და ჯაბა კანკავას თამაშს. ვთვლი, რომ რაც დღეს კანკავამ გააკეთა, ამ პოზიციის ვერც ერთი ფეხბურთელი ვერც ერთ მატჩში ვერ გააკეთებდა.

...როგორი იქნება შემადგენლობა მომდევნო მატჩში? როცა გვგონია, რომ ოპტიმალური შემადგენლობით უნდა ვითამაშოთ, მაშინაც კი ბოლო დღეებში 5-6 ფეხბურთელი გვაკლდება. ამიტომ, წინასწარ ვერ ვიტყვი. ახლა უკვე ჩვენს ხელშია შანსები, რათა ლიტვას გადავასწროთ და ჯგუფში მეხუთე ადგილზე მაინც გავიდეთ.

*ერთიც: გასახდელში ალექს მაკლიშმა კლაუს ტოპმიოლერს გამარჯვება მიულოცა და შოტლანდიური ვისკი აჩუქა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშინ ვარდების რევოლუციის მოედანზე

# ნამატჩევს

**ზურაბ ხიზანიშვილი:** კარგი თამაში იყო, კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, ღირსეულად მოვიგეთ. კიდევ დიდი ბედნიერება ჩემთვის ის იყო, რომ შოტლანდიელებს მოვუგეთ, მე ხომ იქ წლების განმავლობაში „რეინჯერსში" ვთამაშობდი. რამდენიმე ჩემი მეგობარი დღესაც იყო მოედანზე, ასევე ჩემი ყოფილი მწვრთნელი ალექს მაკლიში და მათი დამარცხება განსაკუთრებით გამიხარდა. ჩვენი ნაკრების ახალგაზრდებზეც ვიტყვი — ფანტასტიკურად ჩაატარეს ეს შეხვედრა მაკარიძემ, ყენიამ და მჭედლიძემ. საქართველოს ევროპის დონის ფეხბურთელები ეზრდება, მთავარია, მცირედით არ დაკმაყოფილდნენ, ბევრი უნდა იმუშაონ, იშრომონ თავდაუზოგავად და საწადელსაც მიაღწევენ.

**ჯაბა კანკავა:** მხოლოდ მე არ ვყოფილვარ საუკეთესო — დღეს საქართველოს ნაკრების ყველა მოთამაშე საუკეთესო იყო. ეს იყო გუნდური გამარჯვება. ყველამ თავი დავდეთ, გამარჯვებასაც მივაღწიეთ და უზომოდ გახარებულები ვართ.

**დავით სირაძე:** მთლიანად გუნდმა ითამაშა კარგად და ჩვენი ჯგუფის ლიდერიც დავამარცხეთ. გულშემატკივრებს მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ასეთი მხარდაჭერისთვის.

**ლევან ყენია:** შოტლანდიელების დამარცხებით უზომოდ გახარებული ვარ. დღეს ოფიციალურ მატჩში პირველად ვიყავი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში და უბედნიერესი ვარ, რომ წარმატებას მივაღწიეთ და ქართველი ხალხი გავახარეთ.

**ლევან მჭედლიძე:** გახარებული ვარ, რომ საქართველოს ნაკრების გამარჯვებაში ჩემი წვლილი შევიტანე. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა.

**ზურაბ მენთეშაშვილი:** ჩვენს გულშემატკივრებს ვულოცავ გამარჯვებას. მინდა, რომ მათ ყოველთვის ვხვდეთ საქართველოს ნაკრების!

**ნუკრი ლოლაძე**

*ბადრი კეთილაძის ფოტოები*



დღეს ლევან ყენია 17 წლის გახდა









# მილიონები მადნეულისგან!



**საქართველო — უკრაინის** მატჩის წინ სფფ-ის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა განაცხადა, რომ მალე ეროვნულ ნაკრებს სერიოზული გენერალური სპონსორი ეყოლებოდა. გუშინ კი ოფიციალურად წარადგინეს ახალი სპონსორი — სააქციო საზოგადოება „მადნეული".

თავიდან, რა თქმა უნდა, ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ისაუბრა: „დღევანდელი დღე ისტორიულია ქართული ფეხბურთისთვის — დღეს სააქციო საზოგადოება „მადნეული" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი გახდა. 2008-2010 წლებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 1,4 მილიონ დოლარ მიიღებს...

...მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „მადნეულის" გენერალურ დირექტორ კობა ნაყოფიას ასეთი თანადგომისთვის. დღეს ჩვენს ფეხბურთს მხარდაჭერა ესაჭიროება და „მადნეულის" ასეთი ნაბიჯი მისასალმებელია...

...მინდა ვთქვა, რომ იტალიიდან ჩვენი ნაკრების ჩარტერული რეისი „მადნეულმა" დააფინანსა...

...ეროვნული ნაკრების ატრიბუტიკა, სადაც უეფა ამის საშუალებას მოგვცემს, „მადნეულის" ლოგოთი დამშვენდება...

„მადნეულის" გენერალური დირექტორი *კობა ნაყოფია:* ბოლო ხანს თვალყურს ვადევნებდი ეროვნულ ნაკრებში განხორციელებულ სასიკეთო ცვლილებებს. ვთვლი, რომ გუნდი ყალიბდება და გადავწყვიტეთ, გვერდში დავდგომოდით ეროვნულ ნაკრებს და ფედერაციას...

...თუ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება, სააქციო საზოგადოება „მადნეული" ფეხბურთის ფედერაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას გაახანგძლივებს და დაფინანსებასაც გაზრდის.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი *გოგი ქავთარაძე:* „ნაყოფიამ აღნიშნა, რომ ეროვნულ ნაკრებში დადებითი ძვრებია და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი დღეს არაა უძლიერესთა შორის, სწორედ ამიტომაა დასაფასებელი „მადნეულის" ნაბიჯი. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ და სააქციო საზოგადოება „მადნეული" ერთი გუნდი ვართ...

**ნუკრი ლოლაძე**

# ახალკაცი სეგრტს პასუხს მოსთხოვს

**პრესკონფერენციის** დასრულების შემდეგ ნოდარ ახალკაცს ბლატერ-პლატინის ვიზიტის გადადების მიზეზი ვკითხეთ და ახალგაზრდული ნაკრების ყაზახურ შერცხვენასაც შევეხეთ...

„ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი დამიკავშირდა და მთელ საქართველოს მოუბოდიშა, რომ ვერ ჩამოდის. ხვალ დილით ფიფას შტაბ-ბინაში საგანგებო სხდომა უნდა გაიმართოს სერიოზულ საკითხებთან დაკავშირებით და ვიზიტის გადადების რეალური მიზეზიც ეს არის, მაგრამ, როგორც გვითხრა, უახლოეს მომავალში საქართველოში მაინც ჩამოვლენ. რაც შეეხება ყაზახებთან მარცხს, ამას არანაირი გამართლება არ მოეძებნება და აუცილებლად გვექნება სერიოზული საუბარი. როგორც შევიტყვეთ, ქართველ ახალგაზრდებს უამრავი ელემენტარული შეცდომა დაუშვიათ, რაც შედეგზეც აისახა. ჩვენ მათგან მობოდიშებას არ ვითხოვთ, უბრალოდ, გვაინტერესებს, რა იყო ასეთი მარცხის მიზეზი".

**ნუკრი ლოლაძე**

# სახელმწიფო პროგრამა იწყება

**საქართველოს** ჩემპიონატში მოთამაშე გუნდების ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ადრეც ითქვა, რომ ბიუჯეტზე მომავალი წლიდან არც ერთი გუნდი აღარ იქნება დამოკიდებული და მათ ახალი პატრონი უნდა მოძებნონ. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასეთი გუნდებია „მესხეთი", „სიონი", „ბორჯომი", „სპარტაკი", „დილა" და „ბათუმი".

ვერც პირველ ლიგაში მოთამაშე კლუბები ისარგებლებენ ბიუჯეტით. როგორც შევიტყვეთ, უახლოეს მომავალში აუქციონი უნდა ჩატარდება და მსურველებს ამ კლუბების შეძენა შეეძლებათ. ეს სახელმწიფო პროგრამაა და კომპანიებს, რომლებიც გუნდების შენახვას აიღებენ თავის თავზე, გარკვეული შეღავათები ექნებათ სახელმწიფოსგან.

ვთქვათ, სამშენებლო კომპანიამ რომელიმე გუნდი იყიდა, მან კლუბი უნდა შეინახოს, სტადიონი ააშენოს, მას კი მისცემენ გარკვეულ ტერიტორიას, სადაც შეეძლება, თავისთვის სასარგებლო საქმიანობა აწარმოოს.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას შევეხმიანეთ: „ახალი წლიდან საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე არც ერთი გუნდი სახელმწიფო დაფინანსებაზე აღარ იქნება. ფეხბურთის ფედერაცია მთავრობასთან ერთად ახალ პროექტს ამზადებს და უახლოეს მომავალში ყველაფერს შეიტყობთ" — გვითხრა უგულავამ.

**ნუკრი ლოლაძე**

ყაზახეთი — საქართველო 4:1. ამ ანგარიშის დანახვისას კაცს ქართულ ფეხბურთის ყველანაირი მომავლის იმედი დაგეკარგება, მაგრამ ძალაუნებურად მაინც გვინდა, სხვა თვალით შევხედოთ, ერთჯერად წარუმატებლობად ჩავთვალოთ. არადა, უკვე ასჯერადი ხდება ეს ოხერი ნაგება.

ყაზახეთი ხომ მთლად ქართული ფეხბურთის სასაკლაოდ იქცა...

ნაგების მიზეზებზე თბილისის „დინამოს" გარემარბ სანდრო კობახიძეს ვკითხეთ. იგი ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია პეტარ სეგრტის გუნდში და... სანდროს დინამოურ და პირად ამბებზეც ვესაუბრეთ...



# სანდრო კობახიძე: ყაზახეთს მსაჯებიანად უნდა ვუგებდეთ

## ეს დღე მწარედ დამამახსოვრდება

— შეიძლება, ძნელად დასაჯერებელი იყოს, მაგრამ საწყის 20-30 წუთში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. ტაიმის ბოლოს კი 10-წუთიან მონაკვეთში სამი შეცდომა სამ გოლად დაგვიჯდა. თანაც, მსაჯებიც უსამართლოდ გვექცეოდნენ.

— და რა ქნეს ასეთი მსაჯებმა?

— არა, ისე არ მინდა, გამომივიდეს, რომ წაგებას მათ ვაბრალებდე. ქართველები ყაზახეთს მსაჯებიანად უნდა უგებდნენ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ არაობიექტურად მსაჯობდნენ.

— სამი შეცდომაო, თქვი და ამის გარდა, უშეცდომოდ თამაშობდით?

— პირველმა გაშვებულმა გოლმა აგვრია, მერე კი მიჰყვა და მიჰყვა. გუნდიც აირია, ფაქტობრივად, ვერანაირ კომბინაციას ვერ მოვაბით თავი, გარდა იმ მომენტისა, როცა გოლი გავიტანეთ. მოკლედ, ყველაფერმა ზურგი გვაქცია. ეს თამაში ყოველთვის მწარედ დამამახსოვრდება.

— სეგრტმა რა გითხრათ მატჩის შემდეგ?

— რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყო, მაგრამ გვითხრა, რაც შეიძლება, მალე უნდა დავივიწყოთ ეს თამაში და რუსეთთან მატჩზე ვიფიქროთო. ვთვლი, რომ რუსეთთან ერთ-ერთი ურთულესი შეხვედრა გვექნება, მაგრამ იგივე არ უნდა გავიმეოროთ, რაც ყაზახეთში მოხდა.

— პირველი ტაიმის ბოლოს ჩხუბიც ამტყდარა მინდორზე. ყაზახებმა ისიც დაწერეს, პოლიცია ჩაერია საქმეშიო...

— განსაკუთრებული არაფერი. სათამაშო ეპიზოდს მოჰყვა გაწევ-გამოწევა, ძალიან ნერვებმოშლილები ვიყავით, თან უკვე 0:3 ვაგებდით და თან მსაჯებიც... აღარ მინდა ამ მატჩის გახსენება.

— კარგი, „დინამოზე" ვთქვათ: ჩემპიონატს უდანაკარგოდ ლიდერობთ. არადა, ზაფხულში სანდრო იაშვილის წასვლის შემდეგ ბევრს ეგონა, „დინამოს" თავდასხმაში გაუჭირდებაო...

— ამაზე ხშირად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ნორმალური გუნდი ერთ ფეხბურთელზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. იაშვილი „დინამოს" ლიდერი იყო, მაგრამ ახლაც კარგი თავდამსხმელები გვყავს და საქმეც ნელ-ნელა აეწყო. შევთამაშდით და ახლა ნამდვილად კარგ ფორმაში ვართ.

— როგორ ფიქრობ, ვენის „რაპიდთან" ახლა რომ გქონდეთ თამაში, ისევ ისეთი ანგარიშებით წააგებდით?

— ვთვლი, რომ არც „რაპიდთან" თამაშამდე ვიყავით ცუდ ფორმაში და მე თუ მკითხავთ, ასე არც უნდა წაგვეგო. თბილისში პირველმა გაშვებულმა გოლმა გაგვტეხა, ვენაში კი უშანსოდ ჩავედით, გასვლის იმედი აღარ გვქონდა.

— საერთო აზრით, სანდრო კობახიძე წინა სეზონში უკეთ თამაშობდა. ასეა?

— რა ვიცი, ალბათ. ჩავარდნა მაქვს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მთავარია, ცდას არ ვაკლებ, რათა ყოველთვის ფორმაში ვიყო. მე კი არა, რონალდინიოც ვერ ატარებს ყველა თამაშს ერთნაირად.

— შარშან ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშე ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში. გაქვს იმედი, რომ უახლოეს მატჩებში ისევ დაგიძახებენ?

— ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ეროვნულ ნაკრებში თამაში, კარგია, რომ ნაკრების მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს შანსს აძლევს, ბოლო მატჩებში ეს უფრო გახშირდა და მეც იმედიანად ვარ.

**ილია ნანოგაშვილი**

# კალაძემ მილანში გუნდური დაიწყო



**კახა კალაძემ** „მილანში" უკვე გუნდთან ერთად დაიწყო ვარჯიში, თუმც სერია A-ს მომავალ ტურში, სავარაუდოდ, ვერ ითამაშებს, უბრალოდ, რისკის ფაქტორის გამო.

კალაძე, პაოლო მალდინი და სერჯინიო გუშინდლამდე ინდივიდუალურად ვარჯიშობდნენ, გუშინ კი გუნდთან ერთადაც დაიწყეს.

სამწუხაროდ, კახას ტრავმა მაინცდამაინც სანაკრებო მატჩებს დაემთხვა — იტალიასთან და შოტლანდიასთან რომ ყოფილიყო, ვინ იცის, როგორ ითამაშებდნენ ჩვენები...

**ილია ნანოგაშვილი**

# ხოჯავა, თეთრაძე და მოგებები ანჟიში ერთად დაბრუნდნენ



**რუსეთის** პირველდივიზიონელმა მახაჩყალის „ანჟიმ“ ზედიზედ ორი საშინაო მატჩი მოიგო ჯერ მოსკოვის „ტორპედოს“ 3:2, მერე კი კალინინგრადის „ბალტიკას“ 1:0 სძლია. ორივე შეხვედრაში ითამაშეს ზურაბ არზიანმა და გოჩა ხოჯავამ, რომელიც რუსმა ჟურნალისტებმა ორივეჯერ მატჩის სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის შეიყვანეს.

ხოჯავა დაახლოებით ორი თვე აკლდა „ანჟის“ და ამ პერიოდში დაღესტნელებმა თითქმის ყველა თამაში წააგეს, რის გამოც სახიფათო ზონას ჩააკითხეს, თუმც ამ ორმა მოგებამ თავი ქუდში დაუგულათ.

და კიდევ: მახაჩყალელებს მწვრთნელი ომარ თეთრაძე დაუბრუნდათ.

თეთრაძეს გულის სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ზაფხულში მძიმე ოპერაცია გაიკეთა გერმანიაში.

**ილია ნანობაშვილი**

# დასჯილები

**საქართველოს** მეცხრამეტე ეროვნული ჩემპიონატის მე-9 ტურში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ:

ვლადიმერ ჯოჯუა — ზუგდიდის „მგლები“;

ირაკლი მალიჩავა, გიორგი მიქაძე, ირაკლი სამხარაძე — თბილისის „ლოკომოტივი“;

ბოიომო ფრიდოლინი — ბოლნისის „სიონი“;

გიგა ბეჭვაია, რევაზ ინჯგია — „ვიტ ჯორჯია“;

გიორგი სომხიშვილი — ახალციხის „მესხეთი“;

თემურ ლონდაძე — „ბორჯომი“;

სათადარიგო სკამზე ვერ დაჯდება მწვრთნელი ალექსანდრე კანტიძე — „ბათუმი“.

*პროფლიგის პრესსამსახური*

# 3:5 ფუტსალში

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ კანში პირველი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა მასპინძელთა ნაკრებთან და 3:5 დამარცხდა.

ჩვენებურთაგან ორი გოლი ასათიანმა გაიტანა, ერთიც ნეფარიძემ.

ქართველებს ფრანგებთან მეორე ტესტ-მატჩიც აქვთ დაგეგმილი.

**კახა შალამბერიძე**

# ბაია ბარსელონაში ნახევარფინალშია

**ბარსელონაში** მიმდინარე „კოსტაბრავას თასზე“ ზუგდიდის „ბაია“ ნახევარფინალში გავიდა.

სკოლბურთში გამარჯვებულმა „ბაიამ“ ტურნირის პირველ დღეს ორი მატჩი გამართა და წაგებას მოგება შეუნაცვლა, სამაგიეროდ, გუშინწინ ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა: შვედურ გუნდს 2:1, დანიურს კი 5:0 მოუგო და ნახევარფინალში გასვლა უკვე განაღდებული ჰქონდა, როცა გუშინ ჯგუფის ბოლო ტურში ბერლინის „ინტერნაციონალთან“ 0:7 განადგურდა.

„ბერლინელებთან „ბაიამ“ მეორე შემადგენლობით ითამაშა და თანაც, ბავშვებს დიდად არ გამოუდვიათ თავი. ნახევარფინალში ისევ „ინტერნაციონალს“ ვხვდებით და რევანში სრულიად შესაძლებელია, თუმც ასეც რომ არ მოხდეს, ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა უკვე საკმაო წარმატებაა“ — გვითხრა პროფლიგის გენერალურმა მენეჯერმა პაატა ბურჯალიანმა, რომელიც ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობს.

ბერლინურ „ინტერნაციონალთან“ ნახევარფინალური მატჩი დღეს დილით გაიმართება.

ბურჯალიანმა გვითხრა, აქ დიდი მოწონება დაიმსახურა „ბაიას“ თამაშმა, ტურნირი საკმაოდ პრესტიჟული ყოფილა და ბავშვების მატჩების კვალობაზე, მაყურებელიც ბლომად დადისო.

პროფლიგის გენდირექტორის თქმით, კოსტაბრავას ტურნირზე ბევრ ცნობილ ფეხბურთელს უთამაშია ბავშვობაში, მათ შორის, ფერნანდო ტორესსა და კლაას-იან ჰუნტელაარს თავის დროზე ტურნირი მოუგიათ კიდეც.

**ილია ნანობაშვილი**

**ოლივერ კანს უყვარს გოლფის თამაში და წიგნის კითხვა. ნოემბრის ბოლოს 20 წელი შესრულდება, რაც პროფესიულ ფეხბურთშია. ამ შემოდგომაზე მეკარეებს შორის ბუნდესლიგაში ჩატარებული მატჩებით რეკორდსმენი (538) გახდა, ამჟამად ტრავმირებულია და „ბაიერნის“ საკლუბო ჟურნალმა ინტერვიუსთვის მიაკითხა...**



# ოლივერ კანის ლურსმანი და მაგიდა
## ოცი წელი, როგორც ერთი კვირა

— ეს რიცხვები არ გაშინებთ?

— არა. მშრალი ციფრები საერთოდ არ მაინტერესებს, თუმც იმას ამტკიცებს, რომ მიზანს მივაღწიე. ჩემს კარიერაში არ ყოფილა მკვეთრი აღმასვლა ან ვარდნა, მუდამ სტაბილური და პირველი ნომერი ვიყავი. გარდა ამისა, ახლა ვიგრძენი, რომ დრო სწრაფად გაფრინდა. ძალიან კარგად მახსოვს პირველი ბუნდესლიგური მატჩი „კარლსრუეს“ შემადგენლობაში. „კიოლნთან“ 0:4 წავაგეთ, მორტენ ოლსენისა და პიერ ლიტბარსკის გოლები ახლაც მახსოვს, თითქოს ერთი კვირის წინ გამიტანესო.

**— მაშინ რაზე ოცნებობდით?**

— დასაწყისისთვის მსურდა, „კარლსრუეში“ მეკარე გავმხდარიყავი, რაც ძალიან ძნელი საქმე იყო. მერე, როცა ეს მოვახერხე, დიდი მიზანი დავისახე.

**— ახლა რაზე ოცნებობთ?**

— ამ სეზონში სამი ჯილდოს მოგებაზე. ეს იქნება ჩემი კარიერის გვირგვინი, მით უმეტეს, რომ ამდენი პრიზი ჩემს „ბაიერნს“ ერთ სეზონში არასოდეს მოუგია.

**— ერთხელ ინტერვიუში თქვით, რომ მომავალ ზაფხულს აზიაში წასვლას და იქ თამაშს აპირებთ...**

— არასწორად გამიგეს. 2008-ის 30 ივნისს ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ, ხელთათმანებს კი მაგიდის უჯრაში ჩავალაგებ. რაც შეეხება აზიას, მხოლოდ ის ვიგულისხმე, რომ იქაურებს ჩემი გამოცდილება წაადგებათ.

**— კარიერის ყველაზე შთამბეჭდავ მომენტად პორტუგალიასთან მოგებული მატჩი დაასახელეთ, რომელმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო მოგიტანათ...**

— იმიტომ დავასახელე, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში სკამზე ვიჯექი, მესამე ადგილისთვის მატჩში კი ვითამაშე და ნაკრებიდან გამარჯვებული წავედი.

**— 14 წელი „ბაიერნში“ გაატარეთ და სხვა ქვეყნის კლუბში გადასვლის სურვილი არ გქონიათ?**

— უამრავი შემოთავაზება მქონდა. მაგალითად, „ბარსელონა“ და „მანჩესტერი“ მეპატიჟებოდნენ, მაგრამ წასასვლელად საბაბი ვერ ვნახე. „ბაიერნი“ ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, რომელიც მუდამ პირველობისთვის იბრძვის. თან უცხოური გუნდები უკეთეს ხელფასს არ მპირდებოდნენ.

**— თქვენი წარმატების რეცეპტი?**

— ჩემი პროფესია უზომოდ მიყვარს. ყოველდღე, ნებისმიერ ვარჯიშზე, რაღაც ახალს აღმოვაჩენ ხოლმე. სეზონის ბოლოს კი, როცა მარიენპლაცზე ერთი ან ორი თასით ხელში ქომაგებთან ერთად გამარჯვებას ზეიმობ, ხვდები, რომ ამისთვის შრომა ღირდა.

**— ოცი წლით გაახალგაზრდავება არ გსურთ?**

— არა. ფეხბურთი ტრავმასაშიშია, დისციპლინას და თავდაუზოგავ მუშაობას ითხოვს, ამიტომ კიდევ 20 წელი ამ რეჟიმში ცხოვრება არ მინდა და არ მშურს მათი, ვინც კარიერას ახლა იწყებს.

**— კი მაგრამ, ახლა გაცილებით მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე მაშინ, თქვენ რომ კარიერას იწყებდით...**

— მართალია. 20 წლის წინ მეკარეებს ფორვარდებთან შედარებით ძალიან ცოტა ხელფასი ჰქონდათ — 50 ათასი მარკა წელიწადში, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მე, ჩემი კარიერით, მეკარეების მიმართ დამოკიდებულების შეცვლაში წვლილი შევიტანე.

**— მიხაელ რენსინგს თქვენსავით კარიერას უწინასწარმეტყველებთ?**

— ძალიან ნიჭიერია. შრომობს და ჩემს თვალწინ იზრდება, მაგრამ დრო გვიჩვენებს, რას მიაღწევს. ყველა კომპონენტში ძლიერია, თუმც ამან არ უნდა მოადუნოს და მუდმივად იმუშაოს სრულყოფაზე. მეკარეთა ოსტატობის ანბანს ყოველდღიურად გაზეპირება სჭირდება.

**— ფეხბურთის გარდა გოლფსაც თამაშობთ...**

— 30-ის ვიყავი, გოლფს რომ გავუშინაურდი. დამაგვიანდა, რადგან ამ თამაშისთვის საჭირო უნარ-ჩვევები პატარაობიდანვე უნდა ჩამოგიყალიბდეს. მიუხედავად ამისა, მომწონს, ძალიან ბევრი ფსიქოლოგიური ნიუანსია, უფრო საკუთარ თავს ეჯიბრები, ვიდრე მეტოქეს.

**— წიგნის მოყვარულიც ხართ და ერთ-ერთ ტელეგადაცემაში პაოლო კოელიოსაც კი ეკამათეთ. რომელი წიგნი დევს ახლა თქვენს მაგიდაზე?**

— ჩემი! ამჟამად არაფერს ვკითხულობ, რადგან მე თვითონ ვწერ. ისე გამიტაცა წერამ, რომ ლიტერატურულ სიახლეებს ველარ ვეცნობი. ეს იქნება ოლივე კანის წიგნი, რომლის მეშვეობითაც ერთხელ კიდევ გავივლი 20-წლიან კარიერას.

# ბოლტონს თავი მოაჭრეს



AFP

**„ბოლტონის“** მწვრთნელი სემი ლი დანიშვნიდან ექვს თვეში მოხსნეს. კლუბის შეფების და ლის შეთანხმების საფუძველზე, გუშინ თავკაცი გუნდიდან წავიდა. მას მიჰყვა გენერალური მენეჯერი ფრენკ მაკპარლანდიც.

„ამ გადაწყვეტილების მიღება ორივე მხარისთვის რთული იყო, მაგრამ მოვრიგდით, რომ ახლა მწვრთნელის გამოცვლის საუკეთესო დროა — თქვა „ბოლტონის“ თავმჯდომარემ ფილ გარტსაიდმა — სემმა დიდი როლი ითამაშა კლუბის ისტორიაში და ყოველივე კარგს ვუსურვებთ მასაც და მაკპარლანდსაც. ახლა ჩვენ სხვა თავკაცი უნდა მოვძებნოთ და მომავალზე ვიფიქროთ. მეტს ვერაფერს ვიტყვი.“

სემი ლიმ, „ლივერპულის“ და ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, „ბოლტონი“ აპრილში, სემ ალარდაისის წასვლის შემდეგ ჩაიბარა. გუნდმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო, ცხრა ტურში ხუთი ქულა მოაგროვა და ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა, თუმცა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია.

„ბოლტონს“ დროებით რიკი სბრაგია ჩაიბარებს და პირველ გამოცდას შაბათს, სტუმრად „არსენალთან“ ჩააბარებს.

# მივალ, მივყვები, თეთრი გზებით ფულის ფარასა...

## ჯიჯი მეცხვარიშვილის გამდიდრების ამბავი



**ვამპირი** — ასე ეძახიან რუმინეთში „სტიაუას" პატრონ ჯიჯი ბეკალის, ის კი საკუთარ თავს მოციქულს უწოდებს.

ბუქარესტის ცენტრში მდებარე მის ძვირფას სახლში ფარდის ჩამოსაკიდებლებიც კი ოქროსია — ქვეყანაში სიმდიდრით მესამე კაცი არ ძუნწობს, რადგან ანგარიშზე 500 მილიონი დოლარი აქვს. არცთუ მოკრძალებული რიცხვია აღმოსავლეთ ევროპის ღარიბი ქვეყნისთვის. არადა, ოდესღაც გეორგე (ჯიჯი მეტსახელია) მეცხვარე იყო — ჩაუშესკუს რეჟიმისას მოლდოვანუს პროვინციაში უწყინარ ოთხფეხას მწყემსავდა. ჯიჯის მამა ტაზ ბეკალი კომუნისტების დროს არხეინად ცხოვრობდა და ცხვარს მეზობელ ბულგარეთში ყიდდა. რა თქმა უნდა, ზემოთაც მიჰქონდა წილი პარტიულ მაფიოზებთან. 1989 წელს ჩაუშესკუს დახვრეტის შემდეგ ჯიჯი ბეკალიმ ახალი დროის დადგომა იყნოსა და იღბალს კუდში ხელი სტაცა. მამის კავშირები გამოიყენა და რამდენიმე წელიწადში მილიონერი გახდა, მერე კი ფული უძრავ ქონებაში დააბანდა და ჯიბე კიდევ უფრო გაისქელა.

„სულაც არ მწყინს, ზოგჯერ მეცხვარეს რომ მეძახიან — თქვა ბეკალიმ — პირიქით! ვინც ბიზანტიის იმპერიის ისტორიას იცნობს, იცის, რომ მათი მეფეებიც მწყემსები იყვნენ. და რა წერია ბიბლიაში? იესოს არ უთქვამს თავისი მოწაფეებისთვის, მე წინამძღოლი ან ლიდერი ვარო, ის ამბობდა — „მე თქვენი მწყემსი ვარ". რუმინეთის პოლიტიკაში მე თავი მოციქულად მიმაჩნია და იმის კეთებას ვცდილობ, რისი გაკეთებაც არავის არასდროს არ უცდია".

ბიძაშვილების, ვიქტორისგან და იოან ბეკალებისგან (ამჟამად საფეხბურთო აგენტები არიან) განსხვავებით, ჯიჯის დიდი ფეხბურთი არასოდეს უთამაშია, მაგრამ ძალიან უყვარს. 90-იანი წლების ბოლოს „სტიაუას" დირექტორთა საბჭოში შეძვრა და ოცნებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. მისი ოცნებაა, გახდეს „სილვიო ბერლუსკონი", რომელიც წარმატებული კაცის მაგალითად მიაჩნია. 2003 წელს კლუბის აქციების 51 პროცენტი შეისყიდა და განაცხადა: „ევროპას ვაფრთხილებ, ჩვენ ჩემპიონთა თასის მეორედ მოგებას ვაპირებთ!"

როგორც კი „სტიაუას" დაეპატრონა თქვა, რომ გუნდიდან ყველა ლეგიონერს გაყრიდა, მაგრამ იმავდროულად, ტიმიშოარას „პოლიტეხნიკადან" სენეგალელი მანსურ გუაიე მიიწვია. ხალხი კიდევ უფრო მეტად გააკვირვა ბეკალის განცხადებამ: „მანსურის სანაცვლოდ 300 ათას დოლარს გადავიხდი ერთი პირობით — ისლამი უარყოს და ქრისტიანი გახდეს. თუ დამთანხმდება, მე მოვნათლავ".

აფრიკელმა იუარა, „სტიაუას" პატრონმა კი ფანების კეთილგანწყობის მოპოვება მთავარი კონკურენტის, ბუქარესტის „დინამოს" (მეტსახელად „წითელი ძაღლები") ლანძღვით სცადა. დინამოელთა ერთი მარცხის შემდეგ, ბეკალიმ გენერალურ დირექტორს დაურეკა და ყურმილში კატასავით დაიკნავლა.

„ამიერიდან „დინამომ" კნავილი უნდა დაიწყოს, აბა, ეგენი ძაღლები კი არა კატები არიან" — თქვა ჯიჯიმ.

2004 წელს ჯიჯი ბეკალიმ პარტია „ახალი თაობა" შექმნა და საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, რომელშიც ხმების 1,77 პროცენტი მოაგროვა. არჩევნებამდე, „მოულოდნელად" საგადასახადო ინსპექცია „სტიაუას" დაეცა და აღმოაჩინა, რომ კლუბს ბიუჯეტისა 11 მილიონ 500 ათასი ევრო მართებს. ბეკალი აქედანაც ყოჩაღად გამოძვრა. კლუბის აქტივები ახალშექმნილ ფირმაზე AFC STEAUA BUCURESTI-ზე გადააფორმა, რომელსაც FC STEAUA BUCURESTI-სგან მხოლოდ ერთი ასო (A) განასხვავებდა. „ვამპირმა" იმდენი მოახერხა, რომ ვალები ჩამოწერეს და პოლიტიკაში აღმასვლა განაგრძო. წლეულს მარტში საპარლამენტო არჩევნებში მისმა პარტიამ 18 პროცენტი მოაგროვა.

ჯიჯი ბეკალი 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც აპირებს მონაწილეობას. მისი მრჩეველია პოლიტეკონომიის პროფესორი დან პაველი. 2005-ში „მაიბახის" ლიმუზინით (ნახევარი მილიონი ევრო ღირს) ქვეყნის გაპარტახებული, ულარიბესი აღმოსავლეთი რეგიონები შემოიარა, სადაც წყალდიდობის შედეგად უსახლკაროდ ბევრი ადამიანი დარჩა. დაზარალებულებისთვის ჯიჯის ფულით (4 მილიონი დოლარი) ორასამდე სახლი ააშენეს, რამაც ამ რეგიონში ბევრი მხარდამჭერი შესძინა, თუმც ბეკალი ამბობს, რომ ეს საქმე ქულების მოსაგროვებლად არ გაუკეთებია.

ჯიჯი ბეკალის საარჩევნო პროგრამაში ერთ-ერთი პუნქტი ჰომოსექსუალიზმს ეხება. „მე მიყვარს ცისფერები ისე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ცოდვაა!" — თქვა „სტიაუას" პატრონმა.

დავუბრუნდეთ „სტიაუას". ჯიჯი ძალიან მორწმუნეა. არა მარტო კლუბში, არამედ, ქვეყანაში მისი მთავარი ამოცანა ეშმაკთან ბრძოლაა. 2005-2006-ის სეზონში, ზედიზედ წაგებული რამდენიმე მატჩის შემდეგ, სტადიონზე მღვდელი მიიყვანა, რომელმაც იქაურობა აკურთხა და მოედნიდან და გასახდელებიდან ავი სულები განდევნა. უშველა. „სტიაუამ" ჩემპიონატი მოიგო და უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა, სადაც „მიდლსბროს" შეხვდა. ამ მატჩის წინ ბეკალი საბერძნეთში ჩაფრინდა და ათონის მთაზე სალოცავად ავიდა. იქაურ მონასტერს კი 2 მილიონი ევრო შესწირა. „მიდლსბროსთან" მარცხი ჯიჯიმ ასე ახსნა: „ფინალში გასვლა ეშმაკმა არ დაგვანება. სხვა მიზეზს ვერ ვხედავ".

უკვე ორი წელია, „სტიაუას" საშინაო მატჩებზე რელიგიურ მუსიკას უკრავენ და არავითარი „WE WILL ROCK YOU".

„რაში გვჭირდება ეს მელოდია? ფეხბურთელებმა ერთმანეთი რომ დახოცონ? ეშმაკის მუსიკა ჩვენს მატჩებზე არ იქნება!" — ბრძანა პრეზიდენტმა.

შარშან ბეკალიმ რუმინელ მხატვარს სურათი შეუკვეთა — ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობა" გადააკეთებინა. იესოს ადგილზე საკუთარი თავი დაახატვინა და მოციქულების ნაცვლად კი 11 ფეხბურთელი. ამან ქვეყანაში მღელვარება გამოიწვია, მკრეხელობაო, მაგრამ საპასუხოდ პრეზიდენტმა „სტიაუას" სტადიონთან ქრისტეს ქანდაკება აღმართა. მისი ფულით რუმინეთში 20-ზე მეტი ეკლესიაა აშენებული და ყველა — „სტიაუას" მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ. ფეხბურთელებს, რომლებიც ამა თუ იმ მატჩში თავს გამოიჩენენ, პრეზიდენტი ოქროსგან ჩამოსხმულ, წმინდა გიორგის პატარა ქანდაკებას ჩუქნის. ეს კი არა, შარშან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში რომ გასულიყვნენ, თითოეულ ფეხბურთელს აგარაკსაც უყიდიდა, რომ არაფერი ვთქვათ ფულად ჯილდოზე.

მატჩი ისე არ ჩაივლის, ბეკალიმ მსაჯები არ გალანძღოს, ხოლო იმ გუნდებს, რომლებიც ჩემპიონატში „სტიაუას" კონკურენტებს ქულებს ართმევენ, მუდამ ფულს ჰპირდება. მის ხელში მწვრთნელებმა ვერ გაიხარეს, თვით ლეგენდარული გეორგე ჰაჯიც კი გაექცა გასულ თვეში. ბეკალი მას ჭკუას არიგებდა.

„ის ჯერ დამწყებია — თქვა პრეზიდენტმა — ის ღმერთი არაა! მე ვუთხარი, რომ თუ დამიჯერებ, შენგან მწვრთნელს გამოვიყვან-მეთქი. მაგრამ ყური არ მიგდო. გეორგე ბავშვივითაა, რომელსაც ზოგჯერ გაროზგვა სჭირდება".

ჰაჯი იტალიელმა მასიმო პედრაძინიმ შეცვალა და ამას წინათ „არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ ბეკალიმ განაცხადა, თუ წავაგებთ, პედრაძინის მოვხსნიო. წააგეს, მაგრამ პრეზიდენტმა სიტყვა არ შეასრულა.

„ბევრ რამეს ვამბობ, მაგრამ ყველაფერს ვერ ვასრულებ" — თქვა ბეკალიმ, რომელიც მწვრთნელის საქმეში დაუკითხავად ერევა და ამა თუ იმ ფეხბურთელის თამაშს ითხოვს. ამის გამო გაოგნებულმა ემერიხ ენეიმ, ვინაც „სტიაუას" 1986-ში ჩემპიონთა თასი მოაგებინა, თქვა: „თვით ჩაუშესკუს შვილი ვალენტინიც კი ვერ ბედავდა გუნდის საქმეებში ჩარევას".

**ვაჟა ხუციშვილი**

## სურკისმა ძაკერონი იწუნა

**კიევის** „დინამოს" პრეზიდენტმა იგორ სურკისმა უარყო ცნობა ალბერტო ძაკერონის მწვრთნელად დანიშვნის თაობაზე. იტალიური მედიის ინფორმაციით, ძაკერონი ამ კვირაში დინამოელთა თავკაცი უნდა გამხდარიყო, მაგრამ პრეზიდენტმა განაცხადა: „ჩვენ მოვიყვანეთ ფიზმომზადების იტალიელი მწვრთნელი ვინჩენცო პინკოლინი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდსაც იტალიელს, ამ შემთხვევაში, ალბერტო ძაკერონის ჩავაბარებთ. მე ვენდობი იოჟეფ საბოს და „დინამოს" კვლავაც ის გაუძღვება".

## იას ხედირა მოეწონა

„**ფიორენტინას**" სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ განაცხადა, რომ „შტუტგარტის" ნახევარმცველ სამი ხედირას აკვირდებიან. 20 წლის ფეხბურთელი 2004-დან ძირითად შემადგენლობაშია და წინა სეზონში კარგად ითამაშა.

„მე არ მიყვარს ლაპარაკი სავარაუდო ტრანსფერებზე, მაგრამ შემიძლია, ვთქვა, რომ ხედირა გვაინტერესებს" — თქვა კორვინომ.

ფეხბურთელს „შტატგარტთან" კონტრაქტი 2009-ში უმთავრდება.

## დოსტანიჩი ვერიაში

**ბერძნული** „ვერიას" მწვრთნელად სერბი რატკო დოსტანიჩი დანიშნეს. მან დიმიტრი კალაიციდისი შეცვალა, რომელიც ერთი კვირის წინ მოხსნეს, რადგან წესი დაარღვია სათასო მატჩში „პრევეზას" წინააღმდეგ. მას განაცხადში, სულ მცირე, ორი 21-წლამდელი ფეხბურთელი უნდა შეეყვანა, რაც არ შეასრულა. „ვერიამ" 2:1 მოიგო, თუმც ალბათ შეჯიბრიდან მოკვეთენ და ჩემპიონატში ქულებსაც დააკლებენ.

47 წლის დოსტანიჩი ყოფილი მცველია. მას „კაენში" და „ლე მანში" უთამაშია. სამწვრთნელო კარიერა 2003-ში „სმედეროვოში" დაიწყო, 2004-05 წლებში კი „პარტიზანში" მუშაობდა.

## ბარსას ლამი

„**კიკერის**" ცნობით, „ბარსელონას" „ბაიერნიდან" ფილიპ ლამის შეძენა სურს. გერმანელი მცველი „ბარსას" ჯანლუკა ძამბროტას შემცვლელად მიაჩნია. 23 წლის ლამმა ამ სეზონში 4 მატჩი ითამაშა, ახლა კი ტრავმირებულია. ესპანური კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა განაცხადა, რომ იანვარში ეიდურ გუდიონსენის გაყიდვას აპირებენ: „გუდიონსენს გუნდში დამკვიდრება უნდა, მაგრამ ამის შანსი აღარ აქვს. მწვრთნელი ბოიან კრკიჩს და ჯოვანი დოს სანტოსს უფრო მეტხანს ათამაშებს. ამიტომ ისლანდიელს კლუბის გამოცვლა მოუწევს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# გაჭიანურებული დამთავრდა

## დელ პიერომ კონტრაქტი გააგრძელა



**ალესანდრო** დელ პიეროსა და „იუვენტუსს“ შორის გაჭიანურებულ მოლაპარაკებებს კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე, როგორც იქნა, წერტილი დაესვა.

სამშაბათ საღამოს „პინტურიკოს“ აგენტისა და ძმის, სტეფანოსა და „ბიანკონერის“ სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოს მორიგი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. ცოტ-ცოტა ორივე მხარემ დათმო და შედეგად დელ პიერომ, რომელიც 9 ნოემბერს 33 წლის ხდება, „ბებერ ქალბატონთან“ 2010 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

შეუთანხმებლობის მთავარი მიზეზი დელ პიეროს მაღალი ხელფასი გახლდათ. საბოლოოდ „პინტურიკო“ 2008-09 წლების სეზონში ჯამაგირის 20, ხოლო 2009-2010 წლების სეზონში 25 პროცენტით შემცირებას დათანხმებულა.

გავრცელებული ცნობით, დელ პიეროს ამჟამინდელი ხელფასი სეზონში დაახლოებით 5 მილიონი ევროა. შესაბამისად, 2008-09 წლების სეზონში იგი 4 მილიონ ევროს, ხოლო 2009-2010 წლების სეზონში 3,7 მილიონ ევროს მიიღებს.

გამოდის, რომ „იუვენტუსი“ მომავალ ორ სეზონში დელ პიეროს ხელფასზე 2 მილიონ ევროზე მეტს დაზოგავს...

„მიღწეული შეთანხმებით ძალიან კმაყოფილნი და ბედნიერნი ვართ. მისი წყალობით შევინარჩუნეთ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი და კლუბის სიმბოლო. დელ პიერომ გაითვალისწინა კლუბის ფინანსური პრობლემები და დათანხმდა ხელფასის შემცირებას, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო“ — ნათქვამია „იუვენტუსის“ განცხადებაში.

ალესანდრო დელ პიერო: „ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში. „იუვენტუსმა“ ბევრი მომცა და მინდა, მოგება აქ გავაგრძელო. მოლაპარაკებები ძალიან გაიწელა, დაიძაბა და ბევრი არცთუ სასიამოვნო მომენტიც იყო, მაგრამ მთავარია, ყველაფერი კარგად დასრულდა. ეს ჟან-კლოდ ბლანის, ალესიო სეკოს, ჩემი ძმის, სტეფანოსა და დარიო ტოსეტის დამსახურებაა, რომელიც 10 წელია, ჩემი ასისტენტია. ახლა მოდუნებული და კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ იმ პროექტის წევრი ვარ, რომელიც, მჯერა, ჩვენს ფანებს ბევრ დაუვიწყარ მომენტს აჩუქებს“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ლიპიმ გაიღიმა და თქვა...

**მარჩელო ლიპიმ** ცოტა ხნის წინ განაცხადა, საკმარისად დავისვენე, ფეხბურთში დაბრუნება მინდა და არცერთ ვარიანტს არ გამოვრიცხავ, მათ შორის, იტალიის ნაკრებში დაბრუნებასაცო.

ცხადია, ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, კრიტიკის ქვეშ მყოფ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელ რობერტო დონადონის დიდი დრო აღარ უწერია და, მით უმეტეს, თუ იტალია ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა, მის ნაცვლად ნაკრებს ისევ ლიპი ჩაიბარებსო. 59 წლის სპეციალისტმა ამას ღიმილნარევი კომენტარით უპასუხა...

„ამ საკითხზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან ჭორები და მათი გარჩევა არ მიყვარს. მე, უბრალოდ, ვთქვი, რომ არაფერს გამოვრიცხავ-თქო და ხალხმა ეს ისე მიიღო თითქოს, ყველაზე სენსაციური ინფორმაცია იყოს. დონადონის მუშაობის შეფასება ჩემი საქმე არ არის. მით უმეტეს, მას და ნაკრების მთელ სამწვრთნელო შტაბს ვენდობი. თან რობერტოს მხოლოდ ერთ თამაშში დაუცდა ფეხი. ახლა მთავარია, შოტლანდიასთან უმნიშვნელოვანეს მატჩში ვიმარჯვოთ. იქ ადრე არასოდეს მოგვიგია და ეს ადვილი არ იქნება, რადგან შოტლანდია გაძლიერდა. ლაპარაკია ნაკრებზე, რომელმაც ორჯერ მოუგო საფრანგეთს“ — თქვა ლიპიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# სუაზოს არჩარტყმაც ჩარტყმაა



**უეფამ** ინტერელ დავიდ სუაზოს ჩემპიონთა ლიგაში პსვ-სთან მატჩში მიღებული წითელი ბარათი ძალაში დაუტოვა, რითაც „ნეროაძური“ ძალიან გააბრაზა, რადგან მილანელთა აზრით, ჰონდურასელისთვის საერთოდ უნდა გაეუქმებინათ დისკვალიფიკაცია.

„ინტერი“ — პსვ-ს მატჩის დასრულებისთანავე ერთ-ერთმა თანამსაჯმა არბიტრს აცნობა, სუაზომ ეინდჰოვენელ კარლოს სალსიდოს იდაყვი ჩაარტყაო და ჰონდურასელს წითელი ბარათი აუფრიალეს.

„ნეროაძურიმ“ ამ წითელი ბარათის გაუქმება მოითხოვა, რადგან ვიდეოგამეორებაზე ნათლად ჩანს, რომ სუაზომ და სალსიდომ კი წაიკინკლავეს, მაგრამ ერთმანეთს, უბრალოდ, თავები მიადეს და მეტი არაფერი მომხდარა. თუმცა უეფა, ტრადიციულად, მსაჯების წინააღმდეგ არ წავიდა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა. შესაბამისად, სუაზოს 23 ოქტომბერს მოსკოვის ცსკა-სთან თამაშის უფლება არ ექნება.

„სუაზოს დანაშაული რომ დამტკიცებოდა, დისკვალიფიკაცია სამ მატჩამდე გაეზრდებოდა, მაგრამ ვიდეოგამეორებაზე ჩანს, რომ არაფერი არ მომხდარა. თუმცა უეფამ წითელი ბარათი მაინც ძალაში დატოვა, რაც სამწუხაროა. სამართლიანი იქნებოდა, რომ ეღიარებინათ, ეს შეცდომა იყოო, მაგრამ... სუაზოს გამო ძალიან ვწუხვარ, მას თავის გამოჩენის შანსი სერია A-ს მომავალ მატჩში ექნება“ — თქვა „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

**კოკი კანდელაკი**

# ლაპარაკი თუ უზრდელობა?



**რომის** „ლაციოს“ ექსმეკარის ანჯელო პერუცისა და პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს შორის სიტყვიერი ომი გრძელდება. 37 წლის პერუციმ ახლახან თქვა, მომავალში „ბიანკოჩელესტიში“ დაბრუნებას არ გამოვრიცხავ, როცა იქ ლოტიტო აღარ იქნებაო.

დედაქალაქელთა პრეზიდენტი შეურაცხყოფილი დარჩა, პერუციმ როგორც კი მოგვთხოვა, კონტრაქტი გავუწყვიტეთ და მისთვის ფინანსური პრობლემაც არ შეგვიქმნია, რას მერჩის, ვერ გავიგეო. პერუცის პასუხმაც არ დაახანა.

„როგორც ჩანს, ლოტიტოს მოკლე და ცუდი მახსოვრობა აქვს. ჩემს კონტრაქტში იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, ყოველი სეზონის ბოლოს შემეძლო, გადამეწყვიტა, გავაგრძელებდით თუ არა კარიერას. გულდაწყვეტილი ვარ იმიტომ, რომ ლოტიტომ თქვა, პერუციმ კლუბს ფინანსური ზარალი მიაყენაო. ეს დაახლოებით იგივეა, პაოლო მალდინიმ ახლა კარიერის დასრულება რომ გადაწყვიტოს და სილვიო ბერლუსკონიმ უთხრას, „მილანს“ ეკონომიკური ზარალი მიაყენეო. ასეა თუ ისე, იმედი მაქვს, რომ ხუან პაბლო კარიცო და ფერნანდო მუსლერა „ლაციოს“ გაუმართლებენ, რომში ისინი ბედნიერები იქნებიან და კარგად ითამაშებენ“ — აღნიშნა პერუციმ.

კარიერის განათლების შესაძლებლობაც გამორიცხა, კერძოდ, „მილანში“ ადგილის დაკავება და „რომაში“ მეკარეების მწვრთნელად მისთვის ვარიანტიც უარყო.

— „მილანისგან“ არასდროს არაფერი გამიგია, შესაბამისად, იქ მისვლასაც არ ვაპირებ. არც „რომაში“ ვიწყებ მეკარეების მწვრთნელად მუშაობას. ფეხბურთში მუშაობა მინდა და არც ერთ გუნდს არ გამოვრიცხავ, „ჯალოროსისაც“ კი, თუმცა ახლა დასვენებით ვტკბები“ —დასძინა პერუციმ.

**კოკი კანდელაკი**

### მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

II ტური

**ვენესუელა 0:2 არგენტინა**

0:1 მილიტო (16), 0:2 მესი (43)

**ვენესუელა:** ვეგა, ვალენილია (რ. როსალესი 46), რეი, როუგა, მეა ვიტალი, ჩიკერო, ჯ. მალდონადო, სეიხასი (გუერა 53), რ. პაესი, ხ. როხასი (არისმენდი 66), არანგო

**მწვრთნელი:** რიჩარდ პაესი

**არგენტინა:** აბონდანსიერი, იბარა (გაგო 63), დემიკელისი, გ. მილიტო, ბურდისო (დიასი 73), ხ. ძანეტი, მასკერანო, კამბიასო, რიკელმე, მესი, ტევესი (დენისი 80)

**მწვრთნელი:** ალფიო ბასილე

**გაფრთხილება:** იბარა, ჩიკერო, მალდონადო, როსალესი

**მსაჯი:** კარლოს სიმონი (ბრაზილია)

30 000 მაყურებელი

# მორიგი მესური



**ლიონელ მესიმ** კოლექციას მორიგი სუპერგოლი შემატა, არგენტინამ კი ვენესუელას 2:0 მოუგო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

ანგარიში ბარსელონელმა გაბრიელ მილიტომ გახსნა, რომლისთვისაც ეს 30-ე სანაკრებო შეხვედრა და პირველი გოლი იყო. არგენტინა მეთხუთმეტედ ეთამაშა ვენესუელას და ყველა მოუგო. ალფიო ბასილეს გუნდი ჯგუფში პირველ ადგილზეა ექვსი ქულით, ვენესუელას კი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე არასოდეს უთამაშია, სამი ქულა აქვს. შაბათს მათ ეკვადორი დაამარცხეს.

მასპინძელმა ჯანკარლო მალდონადომ მატჩის დასაწყისშივე ვერ გამოიყენა მომენტი, ხოლო მილიტომ თავური დარტყმით დააწინაურა სტუმრები რიკელმეს შესრულებული საჯარიმოს შედეგად.

**პეკინის ოლიმპიადამდე დარჩენილი მსოფლიოს თასებისა და სუპერთასების მთავარი დატვირთვა სალიცენზიო ქულების გათამაშება იქნება. მომავალი წლის გაზაფხულის ბოლოს ყველა ამ ტურნირის ქულები შეჯამდება და ჩინეთის საგზურის მფლობელებიც გამოვლინდებიან. თუმცა უკვე ისეთიც ბევრია, პეკინის ტატამზე გასვლა განაღდებული რომ აქვს. ერთი თვის წინ რიო დე ჟანეიროში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიცენზია ყველა წონითი კატეგორიის რვა-რვა საუკეთესომ მოიპოვა. ყველაზე უხვმოსავლიანი ბრაზილიური ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის რომ გამოდგა, აქამდეც ბევრჯერ დაგვიწერია. შოთა ხაბარელის შვიდკაცადან ოლიმპიური საგზური ხუთმა გაინაღდა და მხოლოდ ორ წონაში დარჩა ქულები დასაგროვებელი. ულიცენზიო და ლიცენზიანი ქართველების რეიტინგსა და შანსებს წონების მიხედვით გთავაზობთ პეკინგანაღდებულთა სიასთან ერთად**

### 60 კგ

ათენის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა ნესტორ ხერგიანმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედლით მიიღო ჩინეთის საგზური. თუმცა სულაც რვეულს მიღმაც რომ დარჩენილიყო, ბრაზილიამდე დაგროვილი ქულებით მაინც მოწინავეებში იქნებოდა და რვა საუკეთესო ევროპელს შორის მოხვედრასაც უპრობლემოდ მოახერხებდა. ამ წონაში სალიცენზიო ქულები ბეთქილ შუკვანს (26), ვახტანგ ხოსიტაშვილს (20), ამირან პაპინაშვილსა (2) და დავით ასუმბანსაც (2) აქვთ. ევროპელთაგან კი, ლიცენზიები ხერგიანის გარდა, ჰოლანდიელმა რუბენ ჰოუქსმა, ავსტრიელმა ლუდვიგ პაიშერმა და სლოვენიელმა როკ დრაკშიჩმა მოიპოვეს.

### 66 კგ

ერთადერთი ქართული იმედგაცრუება ზაზა კედელაშვილის მსოფლიო რვეულს მიღმა დარჩენა იყო. ევროპის ორგზის ჩემპიონ ქართველს ახლა 124 ქულა აქვს და რეიტინგით მესამე ადგილზეა. ჩვენებურს 170-ქულიანი ჰოლანდიელი დექს ელმონი და 130-ქულიანი რუსი ალიმ გადანოვი უსწრებენ. ძნელი წარმოსადგენია, ზაზას რვა საუკეთესოში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდეს. მეტიც, შესაძლოა, ეს სულაც დარჩენილი სალიცენზიო ტურნირების უჭიდავებლადაც შეძლოს. სხვა ქართველებიდან რეიტინგში ყველაზე წინ 10-ქულიანი ხოსიტაშვილია. სანდრო იაკობაშვილი 50-ეა, უჩა ხუციშვილი — 57-ე. აქვე ოლიმპიადაგანაღდებულებიც: მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი), ნიკოლა კასალი (იტალია) და არმენ ნაზარიანი (სომხეთი).

### 73 კგ

დავით ქვხიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალს ვერ შესწვდა, მაგრამ მეხუთე ადგილით ოლიმპიური საქმე კი გააკეთა. საინტერესოა, რომ 66 კილოგრამის მსგავსად, 73-შიც სამი ევროპელი მოხვდა მსოფლიოს რვეულში. „ქვხას" გარდა, ეს აზერბაიჯანელმა ელნურ მამადლიმ და თურქმა სეზარ ჰუისუზმა მოახერხეს. ამ წონის რეიტინგში ზაზა კედელაშვილი (32-ე), დავით ბოლაველი (45-ე) და დავით კობერიძეც (51-ე) არიან.

### 81 კგ

ყველაზე მეტი სანერვიულო შოთა ხაბარელს ამ წონაში აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატზე რვა საუკეთესოს მიღმა დარჩენილ გიორგი ბაინდურაშვილს მხოლოდ 48 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა. სალიცენზიო ბრძოლაში სხვა ქართველებიც ჩაერთვებიან. ამჟამად მათგან საუკეთესო შედეგი გრიგოლ შინჯიკაშვილს აქვს — 34 ქულა, საბა გავაშელიშვილის ანგარიშზე კი 20 ქულაა. აქვე ჯერ უქულო გრიგოლ მამრიკიშვილი და ლევან წიკლაურიც ვახსენოთ. ჩინეთის საგზური კი 81 კილოგრამში ხუთმა ევროპელმა მოიპოვა. აი, ისინიც: იან ბარტონი (ბრიტანეთი), რობერტ კრაფჩუკი (პოლონეთი), ჯილომ ელმონი (ჰოლანდია), ენტონი როდრიგესი (საფრანგეთი) და ჯუზეპე მადალონი (იტალია).

### 90 კგ

მსოფლიოს ჩემპიონატამდე ძიუდოს მოყვარულთათვის ყველაზე საინტერესო ის იყო, პეკინში საქართველოს ღირსებას ამ წონაში ათენის გმირი ზურაბ ზვიადაური დაიცავდა, თუ ევროპის ვიცე-ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე. რეიტინგში წინ ცირეკიძე იყო, თუმც ზვიადაურსაც მოესწრო 20 ქულის ალება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ირაკლი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ალბათ კითხვას პასუხი თავისით გაეცა. 81 კილოგრამის მსგავსად აქაც ხუთმა ევროპელმა გაინაღდა პეკინის საგზური — ილიას ილიადისმა (საბერძნეთი), რობერტო მელონიმ (იტალია), ივან პერშინმა (რუსეთი) და მარკ ჰუიზინგამ (ჰოლანდია).

### 100 კგ

ლომერ ჭორჭოლიანმა ბრაზილიური მეხუთე ადგილით გაინაღდა ოლიმპიადაზე წასვლა, უნგრელ დანიელ ჰადფისთან, ბრიტანელ პეტერ კოუსინსთან და ბოსნიელ ამელ მეკიჩთან ერთად. სალიცენზიო ტურნირებში კი ქართველთაგან ლევან რაზმაძე ყოჩაღობს. 100 ქულით ის მეცხრე ადგილზეა. გიორგი ყიზილაშვილი და ნოდარ მეტრეველი 4-4 ქულით 39-ე პოზიციაზე არიან.

### +100 კგ

ფრანგი ტედი რინერი, რუსი ტამერლან ტმენოვი და ლაშა გუჯეჯიანი — ეს წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ევროსამეულია. მედლებთან ერთად, მათ ბრაზილიაში წინასაოლიმპიადო ოცნებაც აისრულეს. ზვიად ხანჯალიაშვილი (62 ქულა) და ადამ ოქრუაშვილი (40 ქულა) კი მეათე და მეცამეტე ადგილებზე დგანან.

**ოთარ გალლაძელიძე**



ზაზა კედელაშვილს (მარცხნივ) პეკინის ლიცენზია ჯერ მოსაპოვებელი აქვს





ზაზა ფაჩულიამ მინესოტელი კრის რიჩარდი გადათელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზა ფაჩულიამ ატლანტას უქორა

## ქართველმა ცენტრმა ქულები გამოფინა

„ატლანტა ჰოუქსის" მეხუთე საგამოფენო მატჩი ზაზა ფაჩულიასთვის იღბლიანი გამოდგა. ქართველი ცენტრი მანამდე ათქულიან ზღვარს არ ასცდენია, თუმც ისიც სათქმელია, რომ ფაჩულიას ცოტას ათამაშებდნენ — ხუთეულში ყოველთვის კი იყო, მაგრამ მოედანზე 20 წუთიც არ გაუტარებია.

არც გუშინწინ უთამაშია ზაზას ბევრი. „ქორების" თავკაცმა მაიკ ვუდსონმა ქართველს ტრადიციულად ხუთეულში კი დააწყებინა თამაში, მაგრამ მოედანზე საკმარისი დროით არ გაუჩერებია, თუმცა 19 წუთიც საკმარისი აღმოჩნდა ფაჩულიასთვის, ატლანტელთაგან ბომბარდირი რომ გამხდარიყო.

მართალია, „ქორებმა" „მინესოტა" გუნდური თამაშით დაამარცხეს, მაგრამ ზაზას წილი მაინც გამორჩეულია. 6 ატლანტელი ასცდა ათქულიან ზღვარს, რომელთაგან 16 ქულით საუკეთესო ფაჩულია იყო.

ორმაგად სასიამოვნო ისაა, რომ ზაზამ საშური მიზანი გამოიჩინა და სროლის პროცენტული მაჩვენებლები შთამბეჭდავი ჰქონდა. მან 6 ორქულიანიდან 5 მოათავსა მინესოტელთა კალათში და საჯარიმოს ხაზიდანაც მხოლოდ 1 ააცილა — 7-დან 6 ჩააგდო.

ფაჩულიას ასეთი მონდომება ალბათ იმან განაპირობა, რომ ატლანტელები მას სათამაშო დროის შეკვეცას უპირებენ. როგორც ორი დღის წინ ერთ-ერთ ჯორჯიულ გაზეთში ეწერა, ზაზა ფაჩულია და ატლანტელთა ახალბედა ალ ჰორფორდი სათამაშო დროს შუაზე გაიყოფენ. არადა, დრაფტზე მე-6 ნომრად არჩეული ჰორფორდი ნომინალური თავდამსხმელია, მაგრამ ბოლო დროს ცენტრადაც კარგად წარმოაჩინა თავი და ჩვენებურის კონკურენტი გახდა. თან ისიც დაიწერა, რომ ძირითადი ცენტრი ჰორფორდი იქნებარ და ეს ამბავი ალბათ ზაზამაც გაიგო.

ჰორფორდმა „მინესოტასთან" 26 წუთი ითამაშა და 9 ქულა, 10 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. მას ეს საგამოფენო მატჩები ხუთეულში არასდროს დაუწყია, თუმცა ზაზაზე მეტს მაინც თამაშობდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, ქართველი დაჩრდილაო.

ფაჩულიამ 16 ქულა მთლიანად პირველ ტაიმში მოაგროვა, რასაც 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 დაფარებაც მოაყოლა. ის ატლანტელთაგან საუკეთესოდ დაასახელეს ამერიკელმა ჟურნალისტებმა.

რაც შეეხება თამაშს, ატლანტელებმა იოლად დაჯაბნეს კევინ გარნეტის გარეშე დარჩენილი მინესოტელები. ბოლო მეოთხედში სულაც საარაკო ამბავი შეემთხვათ „მგლებს" — „ქორებმა" ისინი 23:7 დაკორტნეს და საბოლოოდ 103:77 იმარჯვეს.

**ირაკლი პერტაია**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

| |
|---|
| კაცები. მასტერსი |
| მადრიდი. ესპანეთი |
| ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 2 082 500 ევრო |

**პირველი წრე**

პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:3 2:6 7:5

**მეორე წრე**

ხუან მონაკო (არგენტინა) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4 7:5; როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 6:4; ენდი მიურეი (ბრიტანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (15, არგენტინა) 6:1 6:3; გილერმო კანასი (არგენტინა) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3 3:6 7:5; ფერნანდო გონსალესი (5, ჩილე) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 7:6 7:5; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 7:5 6:2

| |
|---|
| ქალები |
| ციურიხი. შვეიცარია |
| ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 1 340 000 დოლარი |

**პირველი წრე**

ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — კარინ კნაპი (იტალია) 5:7 6:2 6:2; ამელი მორესმო (8, საფრანგეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:4 3:6 6:3; სიბილ ბამერი (ავსტრია) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:2 6:2; აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) — შაჰარ პირი (ისრაელი) 6:4 6:3; პატი შნიდერი (შვეიცარია) — სერენა უილიამსი (6, აშშ) 6:0 3:0 (უარი); დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) — დინარა საფინა (აშშ) 7:6 7:6

# გონსალესს ჰაასიც ეამა


სერენა უილიამსი

**თვენახევრიანი** უქმობის შემდეგ კორტზე პირველად გასულმა როჯერ ფედერერმა ნერვიულად კი დაიწყო რობი ჯინეპრისთან, მაგრამ ამერიკელი მთლიანობაში იოლად დასცა. შვეიცარიელმა საათნახევარში მოათავა საქმე და მესამე წრეს ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე უწია. ჯინეპრი ზედიზედ 39-ე ამერიკელია, რომელიც „მხიარულმა როჯერი" გაამწარა.

„თავიდან ცოტა ვნერვიულობდი. იოლი არ არის ამდენი ხნის შესვენების შემდეგ რიტმის პოვნა, მაგრამ როგორც კი ეს მოვახერხე, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. მთლიანობაში საკუთარი გამოსვლით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ" — განაცხადა ნამატჩევს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

მოგეხსენებათ, ფედერერი მადრიდის მასტერსის მოქმედი ჩემპიონია და ესპანეთის დედაქალაქში ტიტულის დასაცავად ჩავიდა. მასტერსის სერიის ტურნირებზე მისი მონაგარი 151 მოგებაა 45 მარცხის წილ, სულ კი კარიერაში 14 მასტერსი მოუგია.

ფედერერის შემდეგი შეხვედრა კი მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს, რადგანაც იგი გილერმო კანასს ხვდება, რომელმაც გუშინ არგენტინულ დერბიში აგუსტინ კალერი დაამარცხა. საინტერესო კი ამათი ჯახი იმ კუთხით იქნება, რომ კანასმა წლეულს უკვე ორჯერ მოუგო შვეიცარიელს, თან ეს ორჯერვე მასტერსის ტურნირებზე — ინდიან უელსსა და კი ბისკეინში მოახერხა. ჰოდა, ვნახოთ, შეძლებს თუ არა ფედერერი შურისძიებას.

გამარჯვებით დაიწყო შარშანდელმა ფინალისტმა ფერნანდო გონსალესმა, რომელმაც მასპინძელ ნიკოლას ალმაგროს ძალიან დაძაბული ბატალია მოუგო. ჩილელს პირველი პარტიის ტაიბრეიკზე რვა სეტ-პოინტის განეიტრალება მოუწია. მეორე სეტში კი სამხრეთ ამერიკელმა ბოლოსკენლა გატეხა პირინეელი და მესამე წრის საგზური გაინაღდა, რითაც საკმაოდ გაიუმჯობესა შანსი, წლის შემაჯამებლე ტურნირზე მოხვედრის შანსები.

გონსალესის წისქვილზე წყალი იმანაც დაასხა, რომ დამარცხდა მისი ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი, ტომი ჰაასი, რომელიც ბეჭებზე ხუან მონაკომ გააკრა. ამით არგენტინელმა გერმანელზე შური იძია ერთი კვირის წინ სტოკჰოლმის მეოთხედფინალში დამარცხებისთვის.

ტურნირს გამოეთხოვა ერთ-ერთი ფავორიტი ნიკოლაი დავიდენკო. თუმც რუსი კორტზეც არ გასულა — რამდენიმე დღის წინ კრემლის თასის მოგებისას მაჯა დაუზიანებია და ტრავმის გამიზეზებას მოერიდა.

თუმც მოსკოველი ამის გარეშეც ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, რადგანაც მან კომენტარი გაუკეთა ენდი მიურეის მიერ წინა კვირას გაკეთებულ კომენტარებს. მოგეხსენებათ, მაშინ ბრიტანელმა თქვა, ჩოგბურთში თამაშების ჩაწყობა ჩვეულებრივი ამბავიაო, რასაც დავიდენკო საკმაოდ გაუღიზიანებია.

„მგონი, ასეთი განცხადებებით ამ ბიჭს უფასო რეკლამის გაკეთება უნდა — სახელის მოხვეჭა კორტზე არ გამოსდის და ახლა ასე უნდა პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩენა. ATP-ის ადგილზე დავინტერესდებოდი თუ რატომ არის ის ასე დარწმუნებული, რომ თამაშების ჩაწყობა ხდება" — განაცხადა დავიდენკომ.

ისე, რუსის ასეთი გაცხარება გასაკვირი არ არის, რადგან ის ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც სერიოზულად აბრალებენ ტოტალიზატორზე თამაშს და ამის გამო მოსკოველს მალე ATP-ის საბჭოს წინაშე კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. დავიდენკოს ადგილი კი მადრიდში ოსკარ ერნანდესს არგუნეს, რომელმაც ეს საჩუქარი ვერ შეირგო და ივო კარლოვიჩთან პირწმინდად განადგურდა.

რაზან მიურეიზე ჩამოვარდა სიტყვა, მის თამაშზეც ვთქვათ — ბრიტანეთის ნომერ პირველმა ჩოგანმა მესამე წრეს უპრობლემოდ უწია და ხუან-იგნასიო ჩელას მხოლოდ ოთხი გეიმი აალებინა.

ციურიხში მიმდინარე ქალთა ტურნირზე კი ყველაზე საინტერესო სერენა უილიამსის წაგება იყო. ამის მიზეზად ტრავმა იქცა — ამის გამო უმცროსი შავდა თავიდანვე ძალიან პასიური იყო, პირველ სეტში გეიმიც კი ვერ მოიგო და მეორეც საზიზღრად დაიწყო. თუმც მალე ტკივილი გაუსაძლისი გახდა და სერენამ მატჩის გაგრძელებაზე უარი თქვა, რითაც მეორე წრეში მასპინძელი პატი შნიდერი გაატარა.

გამოვყოთ დანიელა ჰანტუხოვას გამარჯვებაც, რომელმაც დინარა საფინას ორივე სეტი ტაიბრეიკზე მოუგო. სლოვაკი ლამაზმანი წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძვის, რის გამოც ციურიხში რაც შეიძლება, შორს უნდა გავიდეს.

**ძახა ლოზაშვილი**

# ქართველები და ველურბარათიანები


მაკა ჩახნაშვილი

**საქართველოს** საუკეთესო ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა წარმატებით დაიწყო საფრანგეთის ქალაქ სენტ რაფაელის მაგარსაფარზე მიმდინარე ტურნირი.

50-ათასიანი შეჯიბრი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება და პირველ წრეში მაკამ, მიუხედავად პირველი სეტის უიმედოდ წაგებისა, 1:6 7:5 6:4 აჯობა ძირითად ბადეში „ვაილდ ქარდით", ჩვენებურად „ველური ბარათით", ანუ ორგანიზატორთა მიწვევით მოხვედრილ 22 წლის ფრანგ ფლორინ ჰარინგს, ვისაც WTA-ს მიმდინარე კვალიფიკაციაში 316-ე ადგილი უკავია.

მეორე წრეში მაკას გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავს ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ვეტერანი ებრაელის ციპორა ობზილერის სახით. 34 წლის ობზილერმა, ვისაც ამჟამინდელ რეიტინგში 88-ე პოზიცია უჭირავს, საწყის შეხვედრაში ადვილად — 6:1 6:3 მოუგო ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ფრანგ ესტელ ჟუსარს.

თუ ობზილერსაც გაივლის, მეოთხედფინალში ჩახნაშვილი ელენა მაკაროვასა და მარგალიტა ზეჰალევიჩის რუსულ-ბელარუსულ დუელში გამარჯვებულს შეხვდება.

პარალელურად, ასევე 50-ათასიანი ტურნირი ტარდება ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლოურენსვილში. იქ ძირითად ბადეში ანა ტატიშვილია და პირველ წრეში შეჯიბრზე „ვაილდ ქარდით" მოხვედრილ ამერიკელს, 21 წლისა და რეიტინგში 713-ე ადგილზე მყოფ ნიკოლ ლიმბახს ხვდება. ლიმბახთან გამარჯვების შემთხვევაში ანა 20 წლის კანადელს, კლასიფიკაციაში კარიერის უმაღლეს, 115-ე საფეხურზე მყოფ სტეფანი დიუბუას დაუპირისპირდება, რომელმაც პირველ წრეში იოლად — 6:3 6:1 სძლია პუერტორიკოელ კრისტინა ბრანდის.




სამუელ პიტერი

# ვიტალი კლიჩკო ნამდვილ ჩემპიონს ელის

**საბჭოს** (WBC) ვერსიით მძიმე წონის საჩემპიონო ქამარი სადღეისოდ ერთბაშად ორ მოკრივეს ეკუთვნის და ეს, დაგვეთანხმებით, ნორმალური არ არის — ჩემპიონი რუსი ოლეგ მასკაევია, ვისაც ტიტულის მოპოვების შემდეგ არავისთან წაუგია, მაგრამ ტრავმის მიზეზებით, დათქმულ დროში არც ტიტულის დასაცავი ჩხუბი ჩაატარა ნიგერიელ სამუელ პიტერთან და ამ უკანასკნელს დროებითი ჩემპიონის წოდება მიანიჭეს.

პიტერმა ეს „დროებითი" ქამარი წარმატებით დაიცვა ამერიკელ ჯამალ მაკლეინთან ჩხუბში, მაგრამ, რადგანაც ნიგერიელს დროებითი კი არა, ნაღდი ტიტული უნდა, დღის წესრიგში ისევ დადგა მისი და მასკაევის ჩხუბის საკითხი.

ამ ორთაბრძოლის ორგანიზატორი კრივის დიდოსტატის, დონ კინგის საპრომოუტერო კომპანიაა და, როგორც ამ კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, პიტერი და მასკაევი ერთმანეთს მომავალი წლის 2 თებერვალს ნიუ იორკში, ლეგენდარული „მედისონ სქვერ გარდენის" რინგზე შეხვდებიან. იმედია, ამ ჯერზე ჩხუბი ნამდვილად შედგება და მასში გამარჯვებული „ნამდვილი" ჩემპიონი, თავის ტიტულს, უკვე ძველ ჩემპიონთან, რინგზე დაბრუნებულ უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან ორთაბრძოლაში დაიცავს.

# სლავური ამბავი

**მძიმე** წონაში მსოფლიოს ორი ექს-ჩემპიონი, რუსი გიგანტი ნიკოლაი ვალუევი და ბელარუსი სერგეი ლიახოვიჩი 2008 წლის 14 აპრილამდე უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ეს გადაწყვეტილება მსოფლიო კრივის ასოციაციის (WBA) კომიტეტმა მიიღო და ისიც დაადგინა, რომ ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებულს საჩემპიონო ბრძოლის უფლება ექნება.

WBA-ს კომიტეტის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ვალუევისა და ლიახოვიჩის მხარეებმა 2 ნოემბრამდე უნდა მოილაპარაკონ მომავალი ბრძოლის საორგანიზაციო საკითხების შესახებ. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ 5 ნოემბერს ასოციაციის შტაბ-ბინაში, რომელიც პანამაში მდებარეობს, მოეწყობა ამ ორთაბრძოლის ჩატარების მსურველთა კონკურსი.

როგორც ვალუევის ბანაკში ფიქრობენ, რუსის და ბელარუსის ჩხუბი, სავარაუდოდ, იანვარში ან თებერვალში შედგება.

### სნუკერი


სტივენ ჰენდრი

# დიდი ბრძოლები დიდი პრიზისთვის

**შოტლანდიის** ქალაქ აბერდინში 13 ოქტომბერს დაიწყო და 21 ოქტომბერს დასრულდება ბილიარდის ყველაზე ეშხიანი სახეობის, სნუკერის 2007-08 წლების სეზონის მეორე სარეიტინგო ტურნირი, რომელიც „დიდი პრიზის“ სახელითაა ცნობილი.

ახალი სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირი, „შანხაის მასტერსი“ აგვისტოში ჩატარდა და უელსელი დომინიკ დეილის გამარჯვებით დასრულდა. შანხაისა და აბერდინის შეჯიბრებების გარდა სარეიტინგო ტურნირებს მიეკუთვნება ნოემბერში გასამართი „ჩრდილოეთ ირლანდიის თასი“, დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი (დეკემბერი), უელსის ღია პირველობა (თებერვალი), ჩინეთის ღია პირველობა (მარტი) და მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც გაისად, 19 აპრილიდან 4 მაისის ჩათვლით ჩატარდება და რომლითაც დასრულდება კიდეც 2007-08 წლების სეზონი.

აბერდინის „გრანპრი“ ერთგვარი შერეული სისტემით ტარდება. თავიდან მონაწილენი ჯგუფებად არიან დაყოფილნი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც 16 უძლიერესი გამოვლინდება, ანუ მერვედფინალიდან, საჩემპიონო ბრძოლა პლეი ოფის სისტემით გაგრძელდება.

საპლეიოფო ბრძოლები დღეიდან დაიწყება. მანამდე კი მოკლედ მიმოვიხილოთ ჯგუფებში მომხდარი ყველაზე საინტერესო ამბები.

დავიწყოთ მეორე სათამაშო დღითა და ტომ ფორდის მაქსიმალური ბრეიკით. ფორდი სტივ დევისს ხვდებოდა და საწყის ოთხ ფრეიმში სამი ფანტასტიკური სერია გააკეთა — 117, 122 და 147(!)

ჯგუფში ჩარჩა რეიტინგის ტოპათეულში მყოფი უნიჭიერესი, მაგრამ უაღრესად არასტაბილური ჩინელი დინ ჯუნხუ, ვისაც D ჯგუფში შონ მერფიმ და მარკო ფუმ გადაუკეტეს მერვედფინალის გზა.

პრაქტიკულად დაკარგა პლეი ოფში მოხვედრის შანსი მსოფლიოს ექსჩემპიონმა გრემ დოტმა, რომელმაც სამივე საწყისი მატჩი წააგო. ვერ ივარგა კიდევ ერთმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კენ დოჰერტიმაც, რომელსაც აგრეთვე სამი მარცხი დაუგროვდა. პლეი ოფს მიღმა დარჩნენ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ნილ რობერტსონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი მარკ სელბიც.

გუშინდელი შეხვედრების წინ რთულ მდგომარეობაში იყო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სტივ ჰენდრიც, რომელმაც საწყისი შეხვედრა დათმო თავის სეხნია სტივ მაგუაერთან, თუმც შემდეგ ზედიზედ ორი გამარჯვება მიითვალა და პლეი ოფში მოხვედრის შანსები შეინარჩუნა.

ელიტარული მოთამაშეებიდან ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე შთამბეჭდავად მსოფლიოს ჩემპიონი ჯონ ჰიგინსი, სნუკერის ჯადოქარი რონი ოსალივანი და დიდი ტაქტიკოსი პიტერ ებდონი გამოიყურებოდნენ, რომლებმაც უპრობლემოდ გააღწიეს პლეი ოფში.

ჯგუფური ეტაპის გმირად ჩინელი ლიუ სონი იქცა, რომელმაც ურთულესი C ჯგუფიდან ებდონის კვალად მოახერხა მერვედფინალში გასვლა და უკან სნუკერის ისეთი დიდოსტატები მოიტოვა, სელბი, სტივენსი და პაროლდი რომ არიან.

### ველორბოლა

# სამთვიანი დი ლუკა



**დანილო დი ლუკა,** იტალიური „ლიქუიგასის“ იტალიელი მრბოლი, წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ გამარჯვებული და პროტურის სერიის ლიდერი, იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ სამი თვით იქნა დისკვალიფიცირებული.

იტალიის ეოკ-მა 31 წლის ველოსიპედისტი დამნაშავედ ცნო ექიმ კარლო სანტუჩიონესთან კავშირში და ეს სანტუჩიონე კი იმით გახლავთ ცნობილი, რომ სპორტსმენებს აკრძალული პრეპარატებით ამარაგებდა.

„ეს საშინელი უსამართლობაა. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ჩემს უდანაშაულობაში“ — განაცხადა დი ლუკამ, ვინც პრო-ტურის სერიის გენერალურ კლასიფიკაციაში 15 ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ ავსტრალიელ კედელ ევანსს. იმის გათვალისწინებით, რომ სერიის დასრულებამდე ერთადერთი რბოლა, ამ კვირას გასამართი ერთდღიანი კლასიკური „ჯირო ლომბარდიალა“ დარჩა, დანილოს დისკვალიფიკაცია, შეიძლება, პირველი ადგილის დაკარგვად დაუჯდეს და მან ველარ გაიმეორეს თავისი შარშანწინდელი მიღწევა, როდესაც პრო-ტურის სერიის გამარჯვებული გახდა.

თუ ევანსი ვერ მოახერხებს ლომბარდიულ კლასიკურში დი ლუკასთან ჩამორჩენის აღმოფხვრას, მაშინ „ლიქუიგასის“ მრბოლი ამ დისკვალიფიკაციით ბევრსაც არაფერს დაკარგავს — სეზონი სრულდება, რბოლები აღარ არის და სადღაც შუა იანვრისთვის, ანუ ახალი სეზონის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე დანილო უკვე სასჯელმოხდილი იქნება.

### ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

16 ოქტომბერი

**ფილადელფია 4:0 ატლანტა**
*0:0 3:0 1:0*

1:0 რიჩარდსი (22), 2:0 კარტერი (33), 3:0 კაპანენი (34), 4:0 ჯონსი (49)

**მონრეალი 1:2 ფლორიდა**
*1:0 0:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)*

1:0 კოვალიოვი (3), 1:1 პორტონი (60)

**კოლორადო 5:4 კალგარი**
*0:3 4:1 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*

0:1 ფანუფი (7), 0:2 ნილსონი (8), 0:3 იგინლა (19), 0:4 იგინლა (23), 1:4 სმიტი (24), 2:4 სმიტი (31), 3:4 ბრიუნე (33), 4:4 სოიერი (37)

**ლოს ანჯელესი 4:3 მინესოტა**
*1:1 1:1 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*

0:1 დემიტრა (8), 1:1 ტორნტონი (20), 1:2 კოივუ (21), 2:2 კოლდერი (28), 3:2 კოპიტარი (37), 3:3 როლსტონი (48)

# ზვავში დანახული ქოფაკები

**გუშინ** მცირე სასწაულის მოწმენი გახდნენ დენვერის „პეპსი ცენტრში“ შეკრებილი მაყურებლები. ადგილობრივი „კოლორადო“ უბრალოდ ნადგურდებოდა „კალგარისთან“ — მეორე პერიოდის საწყის წუთებში სტუმრები 4:0 იგებდნენ. აქ მასპინძლებმა მეკარე შეცვალეს და პეტერ ბუდაის მაგივრად კარებში ჟოზე ტეოდორი ჩააყენეს. ამ ბიჭმაც გაიხსენა, რომ სულ რაღაც სამი-ოთხი წლის წინ ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კიპერად ითვლებოდა და კარები საიმედოდ ამოკეტა. ამით შეგულიანებულმა „ზვავებმა“ ტემპს უმატეს და მესამე პერიოდის შუაწელისთვის ანგარიშიც გააყაიმეს — მასპინძლებს მრავალისმნახველმა ახლაწვეულმა რაიან სმიტმა (გოლი+პასი) და გუნდის ახალგაზრდა ლიდერმა პოლ შჩასტნიმ (3 შედეგიანი გადაცემა) უყოჩეს.

„კოლორადომ“ მხოლოდ ეს არ იკმარა და ბულიტების სერიაში მატჩიც მოიგო — გამარჯვებისა იმავე სმიტმა შეაგდო.

„კარგად კი დავიწყეთ, მაგრამ მერე ნაადრევად დავწყნარდით. ისინი კი ჯაჭვახსნილი ქოფაკებივით გვეცნენ და წაგებული თამაში შემოატრიალეს“ — სინანულით ამბობდა ნამატჩევს „კალგარის“ კაპიტანი ჯერომ იგინლა.

საშველი ვერ დაადგა „ატლანტას“, რომელსაც წლეულს გამარჯვება ჯერაც არ უგემია. ილია კოვალჩუკის, მარიან ჰოსას და სლავა კოზლოვისნაირი ვარსკვლავური თავდასხმელების მიუხედავად, გუნდისთვის გოლების გატანა უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. ჯორჯიელები გუშინაც მშრალზე დარჩნენ — ამჯერად „ფილადელფიამ“ იყოჩაღა, რომელსაც თავის მხრივ წლეულს შეტევაში არაფერი უჭირს და ჯერჯერობით სამ შაიბაზე ნაკლები არც ერთ შეხვედრაში არ გაუტანია. „მფრინავებმა“ ახლაც ოთხი გოლით „დაასაჩუქრეს“ სტუმრები და ატლანტიკის დივიზიონს სათავეში მოექცნენ.

სეზონში პირველად დამარცხდა „მინესოტა“, რომელსაც აუტსაიდერი „ლოს ანჯელესი“ მოერია. თუმც „ველურებმა“ ქულას მაინც გამოჰკრეს ხელი, რადგანაც ფარ-ხმალი მხოლოდ ბულიტების სერიაში დაყარეს.

**ქახა ლომჯაშვილი**


რაიან სმიტი

| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 5 | 4 | 1 | 0 | 21:10 | 8 |
| აილენდერსი | 6 | 3 | 3 | 0 | 14:20 | 6 |
| პიტსბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:15 | 4 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:10 | 4 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 13:16 | 4 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 7 | 6 | 1 | 0 | 22:14 | 12 |
| ბუფალო | 5 | 3 | 2 | 0 | 24:16 | 6 |
| ბოსტონი | 5 | 3 | 2 | 0 | 15:14 | 6 |
| მონრეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:13 | 6 |
| ტორონტო | 7 | 2 | 3 | 2 | 26:29 | 6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 6 | 4 | 1 | 1 | 21:11 | 9 |
| ტამპა | 4 | 3 | 1 | 0 | 14:10 | 6 |
| ვაშინგტონი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:12 | 6 |
| ფლორიდა | 6 | 3 | 3 | 0 | 15:16 | 6 |
| ატლანტა | 6 | 0 | 6 | 0 | 9:27 | 0 |

| ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრალური** | | | | | | |
| დეტროიტი | 7 | 4 | 2 | 1 | 23:20 | 9 |
| სენტ ლუისი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:8 | 6 |
| ჩიკაგო | 5 | 3 | 2 | 0 | 10:9 | 6 |
| კოლუმბუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:8 | 4 |
| ნეშვილი | 5 | 2 | 3 | 0 | 17:18 | 4 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 6 | 5 | 0 | 1 | 14:8 | 11 |
| კოლორადო | 6 | 4 | 2 | 0 | 21:8 | 8 |
| ვანკუვერი | 6 | 3 | 3 | 0 | 18:21 | 6 |
| კალგარი | 6 | 2 | 2 | 2 | 21:22 | 6 |
| ედმონტონი | 6 | 2 | 4 | 0 | 13:20 | 4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 6 | 3 | 2 | 1 | 14:15 | 7 |
| ანაჰაიმი | 8 | 3 | 4 | 1 | 19:23 | 7 |
| დალასი | 6 | 2 | 2 | 2 | 16:16 | 6 |
| ფინიქსი | 5 | 2 | 3 | 0 | 12:14 | 4 |
| ლოს ანჯელესი | 7 | 2 | 5 | 0 | 20:30 | 4 |

*პირველი გრაფა — თამაშების რაოდენობა, მეორე — მოგება, მესამე — წაგება, მეოთხე — ოვერტაიმში წაგება, მეხუთე — შაიბების შეფარდება, მეექვსე — ქულა*

RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი



# მღელვარე როლანი

**ირლანდიელი** ალენ როლანი გახლავთ რეფერი, რომელსაც საქართველოს ნაკრების თამაშებიც მრავალჯერ განუსჯია. შაბათს იგი ინგლისი — სამხრეთ აფრიკის ფინალურ შეხვედრას უმსაჯებს და, რაღა თქმა უნდა, ამით ძალიან ბედნიერია.

როლანმა თავისი ემოციები ჟურნალისტებს გაუზიარა: „მსოფლიოში უამრავი რაგბის რეფერი არსებობს, მაგრამ მე ვარ ერთადერთი, რომელიც შაბათის ფინალურ შეხვედრას განსჯის. როცა ყოველივე ამის შესახებ შემატყობინეს, 20 წუთის განმავლობაში ხმა ვეღარ ამოვიღე. აღელვებული და შეცბუნებული ვიყავი. უმალვე თანხმობა არ განმიცხადებია. ჯერ ოჯახთან შევათანხმე, ხოლო უკვე შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება. რაც ეს ამბავი გახმაურდა, უამრავი ზარი და ტექსტური შეტყობინება მომდის. ამის გამოც ძალიან ვღელავ.

მსოფლიოს თასი უდიდესი ფორუმია, მუშაობის პროცესში ყოველთვის ვიღებ სიამოვნებას და ვფიქრობ, რომ მომავალშიც ასე იქნება".

აქვე როლანის ბედნიერ წინამორბედთა გვარ-სახელებსაც მოგახსენებთ: კერი ფიცჯერალდი ავსტრალიიდან, დერეკ ბერვანი უელსიდან, ედი მორისონი ინგლისიდან და ენდრიუ უოცონი სამხრეთ აფრიკიდან. უოცონმა მსოფლიოს თასის ფინალი, სულაც ორჯერ იმსაჯა.

**ზურაბ მიგრიაული**

# ცბიერი აზრები

## ჯონსმა ჯონის კბილი გაკრა

2003 **წლის** მსოფლიოს თასზე ავსტრალიელთა დამრიგებელი და ამჟამად სამხრეთ აფრიკის ბანაკში გადაბარგებული, „ცბიერის" მეტსახელით ცნობილი ედი ჯონსი ამბობს, ჯონი უილკინსონი ისეთი ბიჭი აღარ არის, როგორიც წინა ჩემპიონატზე იყო.

„რა თქმა უნდა, უილკინსონი ძალიან სახიფათოა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იგი ახლა უფრო კარგ ფორმაშია, ვიდრე წინა მსოფლიოს თასზე. დაცვაში ისევ კარგად თამაშობს, მაგრამ არა მგონია, ისეთივე დომინანტური ფიგურა იყოს, როგორიც უწინ. ადრე გუნდის თვალ-ყური იყო, ახლა, უბრალოდ, ალბიონელებს რწმენას აძლევს და ერთიორად აძლიერებს მათ საბრძოლო სულს. ის მოხუცი მხედართმთავარივითაა. ჯონი კარგად არტყამს, გასული მსოფლიოს თასიც მან მოაგებინა ინგლისელებს, მაგრამ ორგანიზებული დაცვის წყალობით შეიძლება მისი შეჩერება. შაბათს ჩვეულებრივზე მეტი მოძრაობა მოგვიწევს. ბურთი უნდა ვაკონტროლოთ. გარწმუნებთ, ამ კომპონენტში „ვარდებზე" ძლიერები ვართ, თანაც არც შერკინებით ჩამოვუვარდებით. ვფიქრობ, მომავალი ფინალი ბოლო ათი წლის საუკეთესო თამაშების სიაში შევა. ბრიტანელების, შეიძლება ითქვას, მკვდრეთით აღდგომა პატივისცემის ღირსია. მათმა მთავარმა მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა შეძლო დროის მოკლე მონაკვეთში გუნდის თამაშის სტილის შეცვლა, რაც მწვრთნელის პროფესიონალიზმსა და მაღალ კლასზე მეტყველებს. მოუთმენლად ველი შაბათის დადგომას. დიდი რაგბი გველოდება" — თქვა ედი ჯონსმა.



ედი ჯონსი

**ზურაბ მიგრიაული**

# გარდაუვალი დასასრული

## ვაიტი მოგებით წასვლას გეგმავს

**მსოფლიოს** თასის მოგების შემთხვევაში სამხრეთ აფრიკის მთავარი მწვრთნელი ჯეკ ვაიტი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს. იგი პოსტზე სამი წლის წინ მივიდა და აგერ, „ქურციკები" ფინალშიც გაიყვანა. „2004 წელს, როცა მწვრთნელად დავინიშნე, ჩემს მორაგბეებთან პირველივე საუბარში თასის მოგებაზე ვილაპარაკე. წლის ბოლოს კონტრაქტი მიმთავრდება და თუ ფინალში გავიმარჯვებთ, რაც თითქმის გარდაუვალი მგონია, მაშინ პირნათლად დავასრულებ სანაკრებო კარიერას. მსოფლიოს თასის მოგება ჩემი უკანასკნელი სარაგბო ამბიციაა" — ბრძანა ვაიტმა.

**ზურაბ მიგრიაული**

მძლეოსნობა







სვეტლანა ფეოფანოვა და ელენა ისინბაევა

# ჭორაობა ჭოკით ხელში

**ელენა ისინბაევას** სახელი ყველას მოგეხსენებათ — მძლეოსნობის რუსი პრიმა ჭოკით ხტომაში ყველაფრის ჩემპიონი და რეკორდსმენია და ერთადერთი ქალი გახლავთ, ვინც დიდოსტატური, ხუთმეტრიანი სიმაღლე დაძლია.

სანამ ისინბაევა გამოჩნდებოდა, მანამდე ჭოკით მხტომელთა სექტორში მეორე რუსი დიაცი, სვეტლანა ფეოფანოვა ქალბატონობდა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახლავთ. შემდეგ ფეოფანოვამ ისინბაევას წყალობით მეორე პლანზე გადაინაცვლა და სვეტლანასა და ელენას შორის შავმა კატამაც გაირბინა.

ამ ორიოდე დღის წინ რუსული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ფეოფანოვამ ისინბაევაზე წაიჭორავა და იმ მიზეზებზე ილაპარაკა, რამაც ორ მძლეოსანს შორის კონფლიქტი გამოიწვია.

„მე ასე ვფიქრობ: თუ შენ ყველაზე მაღლა ხტები, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სექტორში მყოფი სხვა ადამიანები არ უნდა შეამჩნიო — თქვა ფეოფანოვამ და დაამატა — ლენას სწორედ ასე მოსდის და ეს, სხვათა შორის, მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. მრავალი მძლეოსანი ხედავს, რომ ის ისე იქცევა, თითქოს დედოფალი იყოს, ხოლო დანარჩენებს არარაობად მიიჩნევს. ეს ყველაფერი გულისამრევია. სხვებზე უკეთესი ხარ თუ უარესი, ყოველთვის ადამიანად უნდა დარჩე".

**ოთარ მხეიძე**

ავტორბოლა

# ალონსოს უშვებენ, მასა დაიტოვეს

**გერმანული** „ბილდის" ცნობით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის შემდეგ „მაკლარენ-მერსედესს" დატოვებს. არადა, ესპანელ სუპერპილოტს გუნდთან კონტრაქტი 2009 წლის ბოლომდე აქვს.

ეს პროგნოზირებადი ვარიანტი იყო, რადგან ალონსო წლეულს არაერთ შარში გაეხვა, რის გამოც „ვერცხლისფერი ისრების" ბოსობასთან ურთიერთობა უკიდურესად გაუმწვავდა და „მერსედესის" დირექტორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტეს, ჩემპიონი მოხსნან. ისე, რატომ მხოლოდ „მერსედესის"?

ოფიციალური განცხადება ალბათ კვირას ბრაზილიის გრან პრის შემდეგ გამოქვეყნდება და ნანდოც გაისად სხვა საჯინიბოს ბოლიდით იქროლებს. ყველაზე რეალურია „რენოში" დაბრუნება, რომლის მანქანითაც მოიპოვა მან ორივე ტიტული. ფრანგული სუპერკონცერნის იტალიელმა შეფმა ფლავიო ბრიატორემ ბოლო დროს არაერთხელ აღნიშნა, რომ თუკი ალონსო „მაკლარენთან" კონტრაქტისგან განთავისუფლდება, დიდი სიხარულით მიიღებს თავის გუნდში.

ეს მით უფრო ნაღდი ვარიანტი ჩანს, რომ ხმები ფერნანდოს „ფერარიში" გადასვლაზე უსაფუძვლო აღმოჩნდა. ამას წერტილი გუშინწინ დაესვა ფელიპე მასას „სკუდერიასთან" თანამშრომლობის 2010 წლის ბოლომდე გაგრძელებით. ამრიგად, „წითლებმა" ამჟამინდელი ბრაზილიურ-ფინური ტანდემი სულ ცოტა, კიდევ ორი სეზონით შეინარჩუნეს, რადგან კიმი რაიკონენს კონტრაქტი 2009 წლის ჩათვლით აქვს.

**გია ახალაძე**



ფელიპე მასა



ტიერი ანრი 43 გოლით საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის მთავარმეგოლეა

AFP



ამანატიდისის ამ გოლმა ბერძნებს [illegible] ჩემპიონატზე გასვლის

AFP

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## A ჯგუფი

**ყაზახეთი 1:2 პორტუგალია**

0:1 მაკუკულა (82), 0:2 რონალდუ (90), 1:2 ბიაკოვი (90)

**აზერბაიჯანი 1:6 სერბეთი**

0:1 დ. ტოშიჩი (4), 0:2 ჟიგიჩი (22), 1:2 ს. ალიევი (26), 1:3 იანკოვიჩი (41), 1:4 ჟიგიჩი (42), 1:5 იოვანოვიჩი (75), 1:6 ლაზოვიჩი (84)

**ბელგია 3:0 სომხეთი**

1:0 სონკი (63), 2:0 დემბელე (66), 3:0 ფორ-არტსი (75)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:10 | 24 |
| პორტუგალია | 12 | 6 | 5 | 1 | 23:10 | 23 |
| სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:9 | 20 |
| ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11:6 | 20 |
| ბელგია | 12 | 4 | 3 | 5 | 13:14 | 15 |
| სომხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 4:11 | 9 |
| ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10:20 | 7 |
| აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 6 | 5:25 | 5 |

## B ჯგუფი

**უკრაინა 5:0 ფარერები**

1:0 კალინიჩენკო (40), 2:0, 3:0 გუსევი (43, 45), 4:0, 5:0 კალინიჩენკო (49, 64)

**საქართველო 2:0 შოტლანდია**

1:0 მჭედლიძე (16), 2:0 სირაძე (64)

**საფრანგეთი 2:0 ლიტვა**

1:0, 2:0 ანრი (78, 80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:3 | 25 |
| შოტლანდია | 11 | 8 | 0 | 3 | 20:10 | 24 |
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| უკრაინა | 10 | 5 | 1 | 4 | 16:12 | 16 |
| ლიტვა | 10 | 3 | 1 | 6 | 7:13 | 10 |
| საქართველო | 11 | 3 | 1 | 7 | 16:17 | 10 |
| ფარერები | 11 | 0 | 0 | 11 | 3:40 | 0 |

## C ჯგუფი

**მალტა 2:3 მოლდოვა**

0:1 ბუგაევი (24პ), 0:2, 0:3 ფრუნზა (31, 35), 1:3 შკერი (71), 2:3 მიფსუდი (84)

**თურქეთი 0:1 საბერძნეთი**

0:1 ამანატიდისი (79)

**ბოსნია 0:2 ნორვეგია**

0:1 ჰაგენი (5), 0:2 ბ. რიისე (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 17:9 | 25 |
| ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 22:8 | 20 |
| თურქეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 22:10 | 18 |
| ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16:21 | 13 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10:17 | 12 |
| მოლდოვა | 11 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| მალტა | 10 | 1 | 2 | 7 | 9:22 | 5 |

## D ჯგუფი

**სან მარინო 1:2 უელსი**

0:1 ერნშოუ (13), 0:2 ლედლი (36), 1:2 ა. სელვა (73)

**ირლანდია 1:1 კვიპროსი**

0:1 ოკარიდისი (80), 1:1 ფინანი (90)

**გერმანია 0:3 ჩეხეთი**

0:1 სიონკო (2), 0:2 მატეიოვსკი (23), 0:3 პლასილი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 7 | 2 | 1 | 31:7 | 23 |
| ჩეხეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 22:4 | 23 |
| ირლანდია | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 16 |
| კვიპროსი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:18 | 14 |
| სლოვაკეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 27:20 | 13 |
| უელსი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:17 | 13 |
| სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2:52 | 0 |

## E ჯგუფი

**რუსეთი 2:1 ინგლისი**

0:1 რუნი (29), 1:1, 2:1 პავლიუჩენკო (69პ, 73)

**მაკედონია 3:0 ანდორა**

1:0 ნაუმოსკი (30), 2:0 სედლოსკი (44), 3:0 პანდევი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 10 | 8 | 2 | 0 | 25:4 | 26 |
| ინგლისი | 11 | 7 | 2 | 2 | 22:4 | 23 |
| რუსეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 16:5 | 21 |
| ისრაელი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:11 | 17 |
| მაკედონია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | 11 |
| ესტონეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 3:21 | 4 |
| ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 2:39 | 0 |

## F ჯგუფი

**დანია 3:1 ლატვია**

1:0 ტომასონი (7პ), 2:0 უ. ლაურსენი (27), 2:1 გორკსი (80), 3:1 რომედალი (89)

**ლიხტენშტაინი 3:0 ისლანდია**

1:0 მ. ფრიკი (27), 2:0, 3:0 ბეკი (80, 83)

**შვედეთი 1:1 ჩრდ. ირლანდია**

1:0 მელბერგი (15), 1:1 ლაფერტი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:5 | 23 |
| ესპანეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:8 | 22 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 | 17 |
| დანია | 10 | 5 | 2 | 3 | 17:9 | 17 |
| ლატვია | 10 | 3 | 0 | 7 | 10:14 | 9 |
| ისლანდია | 11 | 2 | 2 | 7 | 10:24 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:28 | 7 |

## G ჯგუფი

**ლუქსემბურგი 0:2 რუმინეთი**

0:1 ფ. პეტრე (42), 0:2 მარიკა (61)

**ჰოლანდია 2:0 სლოვენია**

1:0 სნეიდერი (13), 2:0 ჰუნტელაარი (87)

**ალბანეთი 1:1 ბულგარეთი**

1:0 კიშიშევი (32ს.კ.), 1:1 ბერბატოვი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 20:5 | 26 |
| ჰოლანდია | 10 | 7 | 2 | 1 | 13:3 | 23 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:7 | 19 |
| სლოვენია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 5 | 3 | 9:8 | 11 |
| ბელარუსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:20 | 7 |
| ლუქსემბურგი | 11 | 1 | 0 | 10 | 2:22 | 3 |

# ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. V ტური

## I ჯგუფი

**აზერბაიჯანი 1:1 ალბანეთი**

**ფარერები 1:2 ხორვატია**

## II ჯგუფი

**ლიხტენშტაინი 1:3 უკრაინა**

**ჩეხეთი 3:0 სომხეთი**

## VI ჯგუფი

**ლიტვა 0:1 ფინეთი**

## VIII ჯგუფი

**ლატვია 0:2 სერბეთი**

## IX ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 1:3 ისრაელი**

## X ჯგუფი

**უელსი 3:1 მალტა**

# ამხანაგური მატჩები

**იაპონია 4:1 ეგვიპტე**

1:0, 2:0 ნოზავა (21, 42), 3:0 მაედა (54), 3:1 ფადლი (59), 4:1 კაჯი (68)

**საამიროები 0:1 ტუნისი**

0:1 ბელაიდი (29)

**ესტონეთი 0:1 ჩერნოგორია**

0:1 ვუჩინიჩი (41)

**პოლონეთი 0:1 უნგრეთი**

0:1 პაინალი (80პ)

**ფინეთი 0:0 ესპანეთი**

**ავსტრია 3:2 კოტ დივუარი**

1:0 კულიჩი (30პ), 1:1 დროგბა (54), 2:1 ივანშიტცი (64პ), 3:1 შტანდფესტი (74), 3:2 დროგბა (90პ)

**შვეიცარია 0:1 აშშ**

0:1 ბრედლი (85)

**ისრაელი 2:1 ბელარუსი**

1:0 ბენაიუნი (35), 1:1 ა. გლები (67), 2:1 ბენადო (75)

**იტალია 2:0 სამხრეთ აფრიკა**

1:0, 2:0 ლუკარელი (82, 90)

**მაროკო 2:0 ნამიბია**

1:0 ალუდი (71), 2:0 ელ კარკური (90)



იოახიმ ლიოვის გერმანია გუშინ ევროშესარჩევში პირველად დამარცხდა

AFP



ოუენის და ჯერარდის ინგლისმა მოსკოვში მარცხით ჯგუფიდან გასვლა გაირთულა

AFP



პორტუგალიელებმა ყაზახები თამაშის ბოლოს გატეხეს

AFP


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge